



# ახალი ტანათლები

2009 წელი, 26 მარტი - 1 აპრილი

ფასი 90 თეთრი

№11 (445) გამოდის 1998 წლიდან

## არამოქალაქებრივად, მაშინაც კი, როცა ბაბრაზებულები ხართ!

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ანგარიშმა მსოფლიოში ბავშვების მიმართ ძალადობის კვლევის შესახებ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიქცია. ანგარიშში ბავშვების მიმართ ყველა სახის ძალადობის მაღალ მაჩვენებლებზე გამახვილდა ყურადღება. ეს ანგარიში მოუწოდებდა თითოეულ ქვეყანას, შემდგომში განეხორციელებინა კვლევა და გაეანალიზებინა ბავშვების მიმართ ძალადობის მასშტაბი. ამ მოწოდების შედეგად, 2007-2008 წელს, „იუნი-სეფის“ დაკვეთითა და სამთავრობო და არა-სამთავრობო სექტორებთან თანამშრომლობის შედეგად, საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა ჩატარდა. კვლევის მიზანი იყო იმ ძალადობის ხასიათისა და მასშტაბის გაგება, რომელსაც საქართველოში განიცდიან ბავშვები. ეროვნული კვლევა აღწერს ბავშვთა მიმართ ძალადობის დონეს და ბავშვთა უგულბელობის მასშტაბებს ოჯახებში, სკოლებსა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში, ასევე, იძულებით გადაადგილებულ პირთა კოლექტიურ ცენტრებში.

კვლევის თანახმად, საქართველოში ბავშვთა მიმართ გამოვლენილი სხვადასხვა ფორმის ძალადობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. 11 წლამდე ასაკის ბავშვთა 79,8 პროცენტი განიცდის ფიზიკურ, ხოლო 82,3 პროცენტი – ფსიქოლოგიურ ძალადობას; 11-18 წლის ასაკის ბავშვების 44 პროცენტი განიცდის ფიზიკურ, 59,1 პროცენტი – ფსიქოლოგიურ ძალადობას, ხოლო 9 პროცენტი სექსუალური ძალადობის მსხვერპლია. მართალია, ფიზიკური დასჯის ყველაზე გავრცელებული შემთხვევები შეიძლება არ ჩაითვალოს სასტიკად (საჯდომზე ხელის დარტყმა, თმის მოქაჩვა და ყურის აწევა), მაგრამ არსებობს უფრო მძიმე ძალადობის შემთხვევებიც. ფსიქოლოგიური დასჯის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ყვირილი, დამცინავი სახელების დაძახება და ბავშვის ლანძღვა.

გვერდი 5



საქართველოში  
ბავშვების მიმართ ძალადობის  
ეროვნული კვლევა  
2007-2008

საქართველოს  
პედაგოგთა და  
ეფსენიკთა  
თავისუფალი  
პროფკავშირის  
ვიქარტვა  
გვერდი 3

რას უიქრობენ  
პედიკოგოგებს?

სახელმძღვანელოების,  
ეროვნული გამოცდების,  
რეპეტიტორების და  
თორმეტწლიანი  
სწავლების შესახებ

გვერდი 4

ქართული ფესვები  
ევროპაში – გრიგოლ  
ფერაძის ნაწილობრივ  
გამოწვეული ქართული  
სტუდენტთა  
შთაბეჭდილება

გვერდი 7

## უკანასკნელი საუბარი ბატონ აკაკი ბაქრაძესთან

„ქართული საბჭოთაო უნდა გააპეთოს“

„...როგორც ვიყავით ფეტვის მარცვლებით დაფანტული, ისეთივე დავრჩით.“

ვერც ერთი ვერ გაერთიანდება, თუ მას საერთო მიზანი, საერთო იდეალი არა აქვს. რა მიზანი აქვს დღეს ქართველ ხალხს, რა იდეალი? არავითარი. ქართველებმა საერთო ეროვნულ მიზნად მტრის მიერ დაპყრობილი ტერიტორიის (აფხაზეთი და შიდა ქართლი) დაბრუნებაც კი ვერ ვაქციეთ. აფხაზეთისა და შიდა ქართლის ბედ-იღბალზე მარტო დევნილები წუხან. დანარჩენ საქართველოს კი ეს პრობლემა სრულებით არ აწუხებს. ყურსაც არ აბარტყუნებს. ახლა კი არა, ომის დროსაც ასე იყო. როცა ქართველების უმცირესი ნაწილი სისხლს ღვრიდა, თავს წირავდა, უმრავლესობა (უდიდესი უმრავლესობა!) „ვარსალოს“ დასძახოდა, ქეიფსა და ჭამა-სმამი ატარებდა დროს. სრულებით არ ადარდებდა ქვეყნისა და თანამოქმედთა მდგომარეობა. წლები გა-

ვიდა, რაც აფხაზეთი და შიდა ქართლი წარმოქმნილი გვაქვს. დაბრუნებას არავითარი პირი არ უჩანს. პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო ქრება დაბრუნების იმედი. ეს ვითარება მთელი ერის წუხილის საგანი ვერ გახდა. სამაგიეროდ, მთელი საქართველო იმით არის აჭყლოპინებული, რომ აზია-ევროპის დერეფანი ვიქნებით. ყველა ამ დერეფანში გაივლის. გამგულ-გამომგული ნასუფრალს გადმოგვიყვრის და ერთი მაგრად გავძლებით. ამის მეტზე არაფერზე არ არის ლაპარაკი. დერეფნობა არ შეიძლება ერის მიზანი იყოს, მისი იდეალი გახდეს. თუ ქართველის ოცნება ის არის, რომ მსოფლიოს ორღობე გახდეს, მაშინ საბოლოოდ დაღუპულა ჩვენი საქმე და ეგ არის.“

ამონარიდი ინტერვიუდან  
გაზეთი „საქართველო“, 4-11 აპრილი, 2000 წელი







19 მარტს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ივანე ჯავახიშვილის სახელობის აუდიტორიაში, გაიმართა „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს“ (The European Law Students Association Georgia) პრეზენტაცია. პრეზენტაციას დაესწრო საგანგებოდ მოწვეული სტუმარი – ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის გენერალური მდივანი, ბატონი ანტი ჰუსა. პრეზენტაციასთან ერთად გაიმართა „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს“ პირველი საერთო კრება.

ახლად დაარსებული ასოციაციის მთავარი მიზანია: სამართლებრივი მიმართულებით განავითაროს სტუდენტური და ახალგაზრდული ურთიერთობები და საერთაშორისო ხასიათი შესძინოს მას; ევროპულ სტანდარტებზე დაყრდნობით შექმნას პროფესიონალი იურისტის ჩამოყალიბებისთვის საჭირო ჯანსაღი გარემო; უზრუნველყოს ევროპულ თანატოლებთან სამართლებრივი, საგანმანათლებლო და ცხოვრებისეული გამოცდილების, უნარ-ჩვევების ურთიერთგაცვლა, მათთან დაახლოება და თანამშრომლობა.

2008 წლის 2 ნოემბერს, გერმანიის ქალაქ ნიუნბერგში, ევროპის სახელმწიფოთა სტუდენტთა წარმომადგენლობამ ერთხმად დაუჭირა მხარი საქართველოს მსოფლიოს უმსხვილეს იურისტ სტუდენტთა ასოციაციაში – The European Law Students' Association (ELSA) გაწევრიანებას.

საკითხის მნიშვნელოვნებას ისიც უსვამს ხაზს, რომ იგი მეტად დროულია. მაშინ, როცა საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიოსა და ევროპის საერთაშორისო სივრცეში ასეთი აქტუალურია, ქართველი სტუდენტობა ევროპის სტუდენტთა ნაწილს უერთდება. ფაქტის უნიკალურობას ისიც ადასტურებს, რომ ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციაში საქართველოს მიწების საკითხს კენჭისყრაზე მხარი დაუჭირა სხდომაზე წარმოდგენილმა ევროპის ოცდაექვსივე სახელმწიფოს დელეგაციამ.

შეხვედრას ესწრებოდნენ: განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნია გვარამია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი.

19 მარტს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსში, გაიმართა იურიდიული ფაკულტეტისა და კიოლნის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ოფიციალური პრეზენტაცია.

პროგრამის ფარგლებში, იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულს (სამართლის დიპლომირებულ სპეციალისტს, სამართლის ბაკალავრსა და სამართლის მაგისტრს) ეძლევათ საქართველოში უპრეცედენტო შესაძლებლობა:

- გაიარონ სასწავლო კურსი, რომელსაც საქართველოს არც ერთი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება არ სთავაზობს;
- მოისმინონ ლექციათა კურსები, რომლებსაც წაიკითხავენ ევროპაში სახელგანთქმული კიოლნის უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები;
- გაემგზავრონ გერმანიაში სწავლის, სამეცნიერო სტაჟირებისა და კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორის ხელმძღვანელობით სამაგისტრო ნაშრომის შესრულების მიზნით;

• მოიპოვონ კიოლნის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის ხარისხი;

• სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მოიპოვონ კიოლნის უნივერსიტეტის სტიპენდია და სწავლა გააგრძელონ სადოქტორო პროგრამაში.

ყველაფერი ეს ხელმისაწვდომია თსუ-ში, კიოლნის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ეზიარებიან გერმანული იურიდიული განათლების საუკეთესო თეორიულ და პრაქტიკულ ტრადიციებს და საფუძვლიანად შეისწავლიან ევროპული სამართლის სისტემას.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ: სტუმრები პარლამენტიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, თსუ-ს რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

გამოსაუარება

ბატონო რედაქტორ

თქვენი გაზეთის 19-25 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა ე.წ. „მასწავლებელთა ფორუმის“ მონაწილეების მიმართვა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტს მანანა ლურჭულაძეს, რომელსაც ხელს აწერს ვინმე ქეთევან დოლიძე.

მიმართვაში მანანა ლურჭულაძის მიმართ გამოთქმულია რამდენიმე ბრალდება. მათ შორის, ნათქვამია, რომ მან, ვალის გადაუხდელობის გამო, სახლი წაართვა ქუთაისელ გურამ ლარცულიანს და ამით თვითმკვლელობამდე მიიყვანა იგი.

პირველ რიგში, არასწორადაა აღნიშნული სახელი, უნდა იყოს გურბენი.

მეორეც, ჩვენ გურგენ ლარცულიანის ოჯახის წევრები, საჯაროდ ვაცხადებთ, რომ ეს არის სიცრუე. მამაჩემის სიკვდილთან მანანა ლურჭულაძის და მის ოჯახს არანაირი კავშირი არ აქვს. მას ჩვენთვის საცხოვრებელი არ წაურთმევია და არც აპირებს. ჩვენი ოჯახი დღემდე ცხოვრობს მამისეულ სახლში, რომელიც მდებარეობს ქუთაისში, ჭომის უბანში, ლესელიძის II შესახვევი №41.

ჩვენსა და მანანა ლურჭულაძის ოჯახს შორის წლების წინ არსებობდა გარკვეული დავა, რომელიც ამჟამად მთლიანად ამოწურულია. ჩვენ ვიყავით მეგობრები და დღესაც ვინარჩუნებთ ერთმანეთთან თბილ ურთიერთობებს.

მივმართავთ ჩვენი ოჯახის არამკითხველ გულშემატკივარს ქეთევან დოლიძეს და სხვა მის თანამოაზრეებს – ამჯერად მხოლოდ ამ მიმართვით დაკმაყოფილებით, მაგრამ თუ ვინმე მომავალში ეცდება თავისი ბინძური მიზნებისთვის გამოიყენოს ჩვენი ოჯახის ათი წლის წინანდელი ტრაგედია, აუცილებლად მივმართავთ სასამართლოს და პასუხს ვაგებინებთ კანონის წინაშე.

პატივისცემით  
ლელა ლარცულიანი



საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი საუკეთესო სამეცნიერო-კვლევით პროექტებს დააფინანსებს

სამეცნიერო კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად ეროვნული სამეცნიერო ფონდი უკვე რიგით მეოთხე საგრანტო კონკურსს გამოაცხადებს. საუკეთესო სამეცნიერო პროექტები გამოვლინდება და დაფინანსდება 1000-ზე მეტი დამოუკიდებელი, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტის შეფასების საფუძველზე.

- სახელმწიფო გრანტების კონკურსის შედეგად ფონდმა 2006 წლიდან დღემდე, სულ 355 სამეცნიერო პროექტი დააფინანსა, სხვადასხვა პროგრამებით კი 500-მდე კვლევითი პროექტი.
- საგრანტო დაფინანსების შედეგად უკვე 1700-ზე მეტი მეცნიერი (სულ კი 3000-ზე მეტი ადამიანი) დასაქმდა.
- სამეცნიერო კვლევებისთვის სახელმწიფო გრანტების დაფინანსების მოცულობა, სახელმწიფოს მხრიდან, 2006-2012 წლებში, 40 მილიონ ლარამდეა.

წელს დაფინანსდებიან შემდეგი სამეცნიერო მიმართულებები:

- საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
- სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
- სამედიცინო მეცნიერებები;
- საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები;
- მათემატიკა, მექანიკა;
- აგრარული მეცნიერებები.

გრანტის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მეცნიერთა ჯგუფებს. სამეცნიერო პროექტის წლიური ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს. ყოველ წელს გრანტის გამოცხადების და შეფასების პროცედურების განსაზღვრისას, ფონდი ითვალისწინებს სამეცნიერო-აკადემიური წრეების რჩევებს და რეკომენდაციებს.

განაცხადები მიიღება ეროვნულ სამეცნიერო ფონდში, 24 აპრილის ჩათვლით. ონ-ლაინზე დარეგისტრირებული პროექტების რეზისტრაციის ბოლო ვადაა 30 აპრილი. გამარჯვებულები 2009 წლის ბოლოს გამოვლინდებიან. სამეცნიერო გრანტები დაფინანსდება 2010 წლის იანვრიდან.

**TSC** შპს „ტექსარვისსენტრი“  
**კომპიუტერული, საოფისო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის სერვისი**  
**სასწავლო დაწესებულებებისთვის**  
**ფასდაკლება 20%, ადგილზე მომსახურება, უფასო დიაგნოსტიკა**

<ul style="list-style-type: none"> <li>• კარტრიჯების აღდგენა.</li> <li>• პრინტერების შეკეთება.</li> <li>• კომპიუტერების შეკეთება.</li> <li>• ქსელის მონტაჟი.</li> <li>• კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა.</li> <li>• ნოუთბუქების შეკეთება.</li> <li>• ვებ დიზაინი.</li> <li>• ტელეფონების (რადიო ტელეფონი, მობილური, ფაქსი) შეკეთება.</li> <li>• სისტემური ტელეფონის მონტაჟი-პროგრამირება-შეკეთება.</li> <li>• უწყვეტი კვების ბლოკების და ადაპტერების შეკეთება.</li> <li>• მონიტორების შეკეთება.</li> <li>• ტელევიზორის შეკეთება.</li> <li>• ტელევიზორის ქსელის მონტაჟი.</li> <li>• მუსიკალური ცენტრების</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეკეთება.</li> <li>• სარეცხი მანქანის შეკეთება.</li> <li>• გაზის და ელექტროქურების შეკეთება.</li> <li>• მაცივრების შეკეთება.</li> <li>• კონდინციონერების შეკეთება.</li> <li>• სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთება.</li> <li>• დამაფონის მონტაჟი-შეკეთება.</li> <li>• დაცვითი და სისტემების პროექტირება-მონტაჟი-შეკეთება.</li> <li>• სანტექნიკის მონტაჟი-შეკეთება.</li> <li>• გათბობის სისტემის მონტაჟი შეკეთება.</li> <li>• დაბალი დენების ქსელის დაპროექტება-მონტაჟი.</li> <li>• საწარმოს ხაზის მონტაჟი.</li> <li>• სხვადასხვა ფორმატის კასეტების ინფორმაციის ჩაწერა-გადაწერა.</li> </ul>
--	---

აღ. ყაზაგაძის გამზ. №1. ტელ: 371-471, 37-41-14  
 ელ-ფოსტა: tsc@caucasus.net servise@tsc.ge  
**www.tsc.ge**  
**შპს „ტექსარვისსენტრი“** **TSC**





# საქართველოს პედაგოგთა და მასწავლებელთა თავის უფლებები პროფკავშირის მიმართ

## ქვეყნის მასწავლებლები

თქვენ თვალყურს ადევნებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს, რომელიც ძირითადად საქართველოს პედაგოგთა და მასწავლებელთა თავის უფლებების დაცვის მიმართულია. დარწმუნებული ვართ, რომ მსგავსი ქმედებები გამოიწვია მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ორგანიზაციის უკომპრომიზო ბრძოლამ, რომლის შედეგადაც:

1. სახელმწიფომ განახორციელა საჯარო სკოლების პედაგოგთა, ადმინისტრაციისა და ტექპერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევა;
2. შეჩერდა მასწავლებლებთან მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმება;
3. ჯერჯერობით უმნიშვნელოდ მაგრამ მაინც დაიწყო პედაგოგთა ხელფასების ზრდის პროცესი;
4. მასწავლებლებმა შეინარჩუნეს 48-დღიანი ანაზღაურებადი შვებულება, ნაცვლად 24-დღიანი შვებულებისა;
5. სახელმწიფომ იკისრა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მასწავლებელთა მომზადების დაფინანსება;
6. სახელმწიფოს მხრივ სათანადო პირობების უზრუნველყოფაში შეჩერდა საჯარო სკოლების აკრედიტაციის პროცესი;
7. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით სამეურვეო საბჭოს წევრებმა მიიღეს დამატებითი დაცვის გარანტია სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, რის შედეგადაც სამეურვეო საბჭოს წევრის სამსახურიდან გათავისუფლებისას საჭიროა სამეურვეო საბჭოს თანხმობა;
8. შეჩერდა ე.წ. „მასწავლებლის ეთიკის კოდექსის“, როგორც სადამსჯელო დოკუმენტის ნორმატიული აქტის სახით მიღების პროცესი;
9. გაუქმდა მასწავლებელთა ანაზღაურების წესში კაბალური პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას კლასში მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით;
10. გაუქმდა დირექტორთა შერჩევა ლოტოტრონის პრინციპით;
11. სასამართლო დაცვის შედეგად სამსახურში აღდგა ადმინისტრაციის მიერ უსამართლოდ გათავისუფლებული უამრავი პედაგოგი და დირექტორი;
12. სამთბ იცავს პედაგოგთა და დირექტორთა უფლებებსა და ინტერესებს სხვადასხვა დონეზე: საქართველოს მთავრობა, პარლამენტი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ადგილობრივი მმართველობა, სასამართლო.

ეს რეალობაა, თქვენ ამის შესახებ ინფორმირებული ბრძანებით ჩვენი პროფკავშირული ძალის, პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით.

ეს არ არის მაქსიმუმი, ჩვენ აქ არ ვაპირებთ შეჩერებას. ჩვენ ისევ ვიბრძვით:

1. ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის (ვაუჩერის) გაზრდისათვის და დამატებითი დაფინანსების გამოყოფისათვის სკოლის საჭიროების მიხედვით;
2. მთლიან შიდა პროდუქტში განათლების ხვედრითი წილის გაზრდისათვის 2,5%-დან 5%-მდე მაინც, ხოლო საქართველოს ბიუჯეტში განათლების დაფინანსების გაზრდისათვის 5%-დან 15 %-მდე;
3. მასწავლებელთა ხელფასების პერიოდული ზრდისთვის ეკონომიური ვითარებისა და ინფლაციის დონის გათვალისწინებით;

4. სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად გამოყოფილი დაფინანსების, მინიმუმ, 300 ლარამდე გაზრდისთვის;
5. ინტეგრირებული სწავლების გაუქმებისათვის;
6. მთლიანი განაკვეთისა და განაკვეთზე მეტი საათების (18 და 25) ჩატარების შემთხვევაში ერთნაირი ანაზღაურების კაბალური პრაქტიკის აღკვეთისათვის;
7. ნორმატიული აქტის შემუშავებისათვის, რომლის თანახმადაც მასწავლებლის სტატუსითა და შესაბამისი გარანტიებით ისარგებლებს არა მხოლოდ პედაგოგი, არამედ ყველა მუშაკი, ვინც დასაქმებულია განათლების სისტემაში.
8. საკანონმდებლო ინიციატივის წესით „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში შემდეგი ცვლილებების შეტანისათვის:
  - ა) მასწავლებელთა სამსახურიდან უსამართლოდ გათავისუფლებისაგან დამცავი მექანიზმების შექმნა;
  - ბ) მასწავლებელთა ეთიკის კოდექსის შექმნა მათივე ორგანიზაციების (პროფკავშირების, ასოციაციების და ა.შ.) მიერ;
  - გ) განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების საკანონმდებლო უზრუნველყოფა;
  - დ) სახელმწიფოს მიერ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დაფინანსების საკანონმდებლო უზრუნველყოფა (ჯერჯერობით, ამის შესახებ კანონში არაფერი წერია);
  - ე) სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგების ასახვა მასწავლებლის შრომის ანაზღაურებაზე;
  - ვ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისათვის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი გეგმების შესრულება სრულიად ენადაღმდეგება „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლისა და დირექტორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის თეა თუთბერიძის იდეებს. როგორც ის ერთ-ერთ ინტერნეტ-პორტალზე ([www.azrebi.ge](http://www.azrebi.ge)) გამოქვეყნებულ სტატიაში აცხადებს, „დედის რეალურად სკოლების უდიდეს უმრავლესობას ბევრად მეტი პედაგოგი ჰყავს, ვიდრე ესაჭიროება. აქედან გამომდინარე, მისი ნაცვლად, რომ მოსწავლის მიერ სკოლაში ვაუჩერული დაფინანსებით შეტანილი ფული მის განათლებას ხმარდებოდეს, პედაგოგთა სოციალურ დაცვაზეა ორიენტირებული“. ამ და სხვა მიზეზების გათვალისწინებით, რამდენიმე წლის წინ შეიქმნა ე.წ. „სინდიკატი“, რომელიც არ არის პროფესიული კავშირი და ძალას არ იმუშავებს იმისათვის, რომ დაასუსტოს ჩვენი ორგანიზაცია და საკუთარ ინტერესებს შესწიროს თქვენი მომავალი:

### რა არის „განათლების პროფესიული სინდიკატი“ ?

1. „სინდიკატი“ დაფუძნებული არაა „პროფესიული კავშირების შესახებ“ კანონის საფუძველზე; იგი დაფუძნებულია ტარას შავშიშვილის, ლალი რამინაშვილის (თბილისის №122 საჯარო სკოლის დირექტორი) და ნატო დუმბაძის მიერ.
2. „სინდიკატი“ არღვევს საერთაშორისო ნორმას გაერთიანების თავისუფლების შესახებ და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით (იგულისხმებიან ლავოდების, ბოლნისის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ხელმძღვანელები და ქ. თბილისის №122, №10, №116, №115 №134, №149, №14 და №136 საჯარო სკოლის დირექტორები, ასევე დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დირექტორი) ცდილობს შეიჩუქოს მასწავლებლები მის რიგებში;
3. ერთადერთი, რითაც დღემდე „სინდიკატი“ თავი გამოიჩინა, ესაა სასკოლო პორტფოლიოებითა და ჟურნალებით ვაჭრობა სასწავლო დაწესებულებებში (მათ შორის მცირე-

კონტიგენტიან სკოლებში, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ხელფასების გაცემას და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის გამო მასწავლებლისათვის დახმარების მიცემას) პირადი გამოჩენის მიზნით;

4. „სინდიკატი“ დამფუძნებელი ტარას შავშიშვილი პედაგოგებში ავრცელებს ინფორმაციას, თითქოს მისმა ორგანიზაციამ „განათლების ინსტიტუტმა“ (რომლის დირექტორი ამავდროულად არის ტ. შავშიშვილი) გააიარა აკრედიტაცია და მის მიერ წარდგენილმა ტრენინგ-პროგრამებმა მიიღო დადებითი შეფასება. ეს არის სიცრუე, მოცემულ ეტაპზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთოდ არ მიუღია გადაწყვეტილება აკრედიტაციის გაცემის შესახებ და არცერთ გადასამზადებელ ცენტრს, მათ შორის ტარას შავშიშვილის „განათლების ინსტიტუტს“, მინიჭებული არ აქვს სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მასწავლებელთა მომზადების უფლება.

5. აკრედიტაციის შემდეგ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია მოემზადოს მისთვის სასურველ გადასამზადებელ ცენტრში (მათი რაოდენობა რამდენიმე ათეულია და ბევრი მათგანი, როგორც საგანმანათლებლო პროგრამებით, ასევე ტრენინგებით მთელი თავით აღემატება „განათლების ინსტიტუტს“) და საამისოდ არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია, არის თუ არა იგი „სინდიკატის“ წევრი;

6. ტარას შავშიშვილი პირდება მასწავლებლებს, რომ „სინდიკატი“ განვირგნის და 1% სანვეროს გადახდის შემთხვევაში უფასოდ მოამზადებს მათ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის, ეს არის მტკნარი სიცრუე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პედაგოგის საშუალო ხელფასად 200 ლარს ვიანგარიშებთ (მისი 1 % არის 2 ლარი), ერთი წლის განმავლობაში სრული თანხა შეადგენს 12X2=24 ლარს, ნორმალური გადასამზადებელი კურსის გასავლელად კი საჭიროა, მინიმუმ, 300 ლარი.
7. ტარას შავშიშვილი ენიშნავს მასწავლებელთა ინტერესებს და მხარს უჭერს მოკლევადიანი შრომით ხელშეკრულებებს. გაზეთ „ალიას“ ჟურნალისტთან ინტერვიუში (იხ. „ალია“, 2008წ, 19-20 თებერვალი, №21(2146) მან განაცხადა – „უფალო ხელშეკრულება მხოლოდ სატანასთან იდება“.

„სინდიკატისა“ და მისი ხელმძღვანელის კანონსაწინააღმდეგო საქმიანობასთან დაკავშირებით საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავის უფლებამა პროფკავშირმა:

- ა) განცხადებით მიმართა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას;
- ბ) თბილისის პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ტ. შავშიშვილის, რამდენიმე საჯარო სკოლის დირექტორისა და რესურსცენტრის უფროსის მიმართ, მიმდინარეობს გამოძიება.

რაპი ჩვენს დასუსტებას ცდილობენ, ე.ი. ჩვენი ქლირ-რეპი ვართ! ნუ მივიცემთ საკუთარი ორგანიზაციის შეუპოვებლობის უფლებას იმ ადამიანებს, რომლებსაც მხოლოდ და მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებდა და მასწავლებელთა ზედიზე მათთვის მისახარისონია!

მანანა ლურჯუშვილიძე  
სამთბ-ის პრეზიდენტი,  
სამთბ-ის აღმასრულებელი საბჭო

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავის უფლებამა პროფკავშირი  
საკონტაქტო ტელეფონები: 877 24 77 00; 877 24 77 74; ტელ/ფაქსი (822) 37 30 67  
მის.: ქ. თბილისი, ზ. ჟვანიას მე-4 შესახ. ს. არშვას ქ. №5

## ბრიტანეთის საბჭოს აქცია „გაპიციონოთ ერთმანეთი“

ბრიტანეთის საბჭოს პროექტმა „ვიცხოვროთ ერთად“ და მასში გაერთიანებულმა ახალგაზრდა მოხალისეების ჯგუფმა (LoFT – Leap of Faith Together), სოციალურად დაუცველი ბავშვების მხარდასაჭერად შეიმუშავეს ორდღიანი მხარდობის პროგრამა 21-22 მარტისათვის. იანვარში კი მათ იძულებით გადაადგილებულ ბავშვთა გამოყენება მოახერხეს სახელმწიფოში „ჩვენი ვაშენებთ მშვიდობას“.

ვთა ცენტრების – „ციხარტყელა“ და „ბელურები“ აღსაზრდელბებთან იმუშავებენ. ორი ასაკობრივი ჯგუფის (8-12 და 12-16) ბავშვები სხვადასხვა ღირსშესანიშნაობას დაათვალიერებენ, ენევიან მუზეუმებს, სვეტიცხოველს, ჯვარს, ნახავენ ფილმს და ისადაილებენ ადგილობრივ რესტორნებში. ამ ორი დღის განმავლობაში მოხალისეები ბავშვებს ესაუბრებიან საქართველოზე, კულტურაზე, პატარებისთვის საინტერესო ნებისმიერ თემაზე. საბოლოოდ, მათ

ბრიტანეთის საბჭოში ნიგნებსაც უსახ-სოვრებენ. ვიმედოვნებთ, რომ ამ ბავშვებთან გატარებული ყოველი საათი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ შეიძლება საზოგადოების თითოეულმა წევრმა, მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობით სოციალურად დაუცველ ბავშვებს დაახაროს ის მზრუნველობა და სიყვარული, რომელიც ასე სჭირდებათ, რომ მათ რეალურად იგრძნონ მნიშვნელობა იმ დიადი იდეისა, რასაც ერთად ცხოვრება და საზოგადოებაში ინტეგრირება ჰქვია.

- LoFT ბრიტანეთის საბჭოს პროექტის Living Together – „ვიცხოვროთ ერთად“ ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც მხარს უჭერს ევროპის საბჭო და ეხმარება კულტურათა შორის დიალოგის გლობალურ საკითხებს.
- ბრიტანეთის საბჭო არის გაერთიანებული სამეფოს წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს განათლების საკითხებზე და ქვეყნებს შორის კულტურულ ურთიერთობებზე. საბჭო მოქმედებს მსოფლიოს 109 ქვეყნის 220 ქალაქში.





გამოკითხვა

# რას ფიქრობენ მეტორმეტაკლასელები სახელმძღვანელოების, პროფესული გამოცდების, რეპეტიტორების და თორმეტწლიანი სწავლების შესახებ

## XII კლასის ქართული სახელმძღვანელო - საკითხავი თუ საჭირო წიგნი

ბოლო რამდენიმე თვეა, რაც გაზეთ „ახალი განათლება“ ფურცლებზე ცხარე პოლემიკაა გამართული მე-12 კლასის ქართული სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით. ნაწილი პედაგოგებისა მიიჩნევს, რომ სკოლამ მხოლოდ იმდენი ცოდნა უნდა მისცეს ბავშვს, რამდენიც მისაღები გამოცდებისთვის ესაჭიროება, თუმცა თვითონვე მოდიან წინააღმდეგობაში, რადგან, თუ ქართული ენისა და ლიტერატურის მისაღები გამოცდების ტესტის IV ნაწილს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ეს წერიტი უცხო ტექსტის ანალიზის უნარს ამოწმებს ეს სახელმძღვანელო აბიტურიენტს ზუსტად უცხო ტექსტის გაგებასა და გააზრებაში ეხმარება, უვითარებს კითხვის უნარს. აგებულია XII-კლასელთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. 17-18 წელი, ეს არის ასაკი, როცა ადამიანი განვითარების ახალ ეტაპს იწყებს, უკვე აცნობიერებს, რომ გარკვეული საზოგადოების წევრი, რომელშიც საკუთარი ადგილი უნდა დაიმკვიდროს. სწორედ ამას ეხმარება მათ XII კლასის სახელმძღ-

ვანელოში შეტანილი ტექსტების მრავალფეროვნება, აქ ხომ არაფერია დამტკიცებული, შესაბამისად, არც მზა რეცეპტებია მოწოდებული ამა თუ იმ საკითხზე. მოსწავლე თვითონ არის ექსპერტი, კრიტიკოსი, შემფასებელი. მეექვსეა, რეპეტიტორის მიერ მიწოდებული მზა მასალა დაეხმაროს მათ ამასში.

თუ სკოლა და პედაგოგები გრძნობენ პასუხისმგებლობას იმ მოსწავლეების მიმართ, რომელთაც სურთ ეროვნული გამოცდების ჩაბარება და შესაბამისად, სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში, მაშინ შეიძლება საგაკვეთილო დროის გამოყოფა მისაღები გამოცდების საპროგრამო მასალის გადასამეორებლად, რომელიც შეიძლება მოიცავდეს საშუალო სკოლაში შესასწავლ ყველა მწერალსა და ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელთა ნაკითხვაც აუცილებელია კარგი საშუალო განათლების მისაღებად. მით უფრო, რომ დამამთავრებელი კლასის მესამე ტრიმესტრი, ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, აბიტურიენტის მუშაობაზეა გათვლილი.


ამრიგად, ვფიქრობ, მთავარი მაინც ჩვენს პროფესიულ უნარებზე, საქმისადმი სიყვარულსა და ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

ჩემი აზრით, ეს სახელმძღვანელო დაეხმარება მოზარდს პროფესიულად ჩამოყალიბებაში. დამეთანხმებით, კითხვის გარეშე წარმოუდგენელია აკეთო რაიმე ღირებულო და აკეთო ხარისხიანად.

„ქართულის“ სახელმძღვანელო ჩვენი სკოლის XII-კლასელთა საყვარელი, სამაგიდო წიგნად იქცა, ისინი დიდი მონდომებით კითხულობენ, საუბრობენ და მსჯელობენ ყველა აქ დასმულ საკითხსა თუ პრობლემაზე და ნამდვილად არ მიაჩნიათ, რომ ეს თაროზე შემოსაღები წიგნია, რომელსაც მკითხველი არასდროს გაუჩნდება. იციან, რომ ეს სწორედ ის არის, რაც მათ სჭირდებათ.

ისე, აჯობებდა, თვითონ მათთვის მოგვემინა.

**ნათო ცერცვაძე**  
სკოლა „სარკმელის“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი



**თაკო გაბაიძე:**  
ჩვენი ლიტერატურის სახელმძღვანელო რომ ვნახე პირველად, ერთადერთი აზრი, რამაც მომენტალურად გამიელვა თავში, იყო ის, რომ ამ უზარმაზარი წიგნის ყოველდღიურად ტარება სკოლაში ძალიან გამჭირდებულა. შიშმა შემიპყრო, თუმცა, სარჩევის დათვლიერების შემდეგ, ეს გრძნობა სადღაც გაქრა და ჩემში სიხარულმა, ბედნიერებამ და უსაზღვრო ინტერესმა დაისადგურა. წიგნში ნაწარმოებები სხვადასხვა აქტუალური თემისა და პრობლემის მიხედვითაა დალაგებული, რაც ვფიქრობ, მოზარდში პარალელურად გაველების, ერთი იდეის გარშემო რამდენიმე ნაწარმოების გაერთიანებისა და ანალიზის უნარს აყალიბებს. მკითხველის დაინტერესების ორიგინალური და ეფექტური ხერხია უცხო ნაწარმოებების ნაწყვეტის სახით წარმოდგენა, რომელიც ამ წიგნში უხვადაა გამოყენებული. პირადად მე, სელინჯერის მოთხრობის „თამაში ჭვავის ყანაში“ ნაწყვეტის ნაკითხვის შემდეგ, დიდი სურვილი გამიჩნდა, მთლიანად გავცნობოდი ამ ნაწარმოებს და, ზოგა-

დად, ავტორის სხვა ნამუშევრებსაც. დღეისათვის, სელინჯერი ჩემი საყვარელი მწერლების რიცხვშია. ერთი სიტყვით, ჩვენს მეტორმეტე კლასის სახელმძღვანელოში ყველა ის აქტუალური პრობლემა თავმოყრილი, რომელსაც მოზარდი ყოველდღიურად აწყდება ცხოვრებაში, ეს წიგნი კი, ერთგვარი მეგზურივითაა, რომელსაც ყოველთვის შეუძლია სასარგებლო რჩევის მოცემა. ყოველი ნაწარმოების ნაკითხვის შემდეგ ვგრძნობ, რომ ერთიორად ვიზრდები, ჩემი თვალთახედვის არეალი ფართოვდება და სადღაც უსასრულობისკენ მიდის, მეტად თავდაჯერებული და გამბედავი ვხდები. ამ წიგნის დახმარებით, მე უკვე შემიძლია ჩემი კომპეტენტური აზრი გამოთქვა მთელ რიგ სადისკუსიო საკითხებზე. ჩემი რჩევა იქნება უფროსი თაობის წარმომადგენლების მიმართ, ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკულები და ნუ ეცდებით, შვილები იმავე იდეოლოგიითა და პრინციპებით აღზარდოთ, როგორც თავად იზრდებოდით. ფაქტია, რომ რაღაც ახალი, პროგრესული გეჭირდება, ჩვენ კი ამისთვის მზად ვართ!

**თამუნა ინარიძე:**  
XII კლასის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით გამოთქმული პრეტენზიები ჩემთვის სრულიად მიუღებელია. მე სკოლაში, საგაკვეთილო რეჟიმში, გავდივარ ამ წიგნს და ბევრ კარგ რამეს ვიღებ. მაგალითად, ბევრისთვის საგამოცდო პროგრამას აცდენილი, არასაჭირო ნაწარმოებები ჩემთვის მიზეზი გახდა უფრო მეტად დაინტერესებულიყავი აქამდე სრულიად უცნობი მწერლებითა და მათი ნაწარმოებებით. ჩემი, როგორც მკითხველის, თვალსაწიერი სწორედ ამ წიგნმა გაზარდა, რის გამოც საერთოდ არ ვნანობ, რომ მის შესწავლას ჩემი სააბიტურიენტო დროის ნაწილს ვუთმობ და სხვებსაც ამას ვურჩევ: ნუ აქცევთ ამ წიგნს მხოლოდ მომავალში ნასაკითხ კლასგარეშე ლიტერატურად, თუ არ დაგინყიათ კითხვა, დაინყეთ, წინ ბევრი საინტერესო რამ გელით... მშურს თქვენი!

**თამუნა ქურდიანი:**  
XII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელომ საზოგადოების არაერთგვაროვანი

რეაქცია გამოიწვია. ფიქრობენ, რომ ეს სახელმძღვანელო მოსწავლეებს არაფერს მისცემს.

ჩემი აზრით, სახელმძღვანელო მოსწავლეებისათვის საინტერესო თემატიკით არის გამორჩეული. წიგნში სხვადასხვა თემა ისეა შერჩეული, რომ საშუალებას გვაძლევს, მეტი ვიფიქროთ და ვიაზროვნოთ.

ქართულ მწერლებთან ერთად ვეცნობთ უცხოელ მწერლებს, ეს კი წარმოდგენას გვიქმნის სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის შესახებ, ვეცნობთ ადამიანურ ურთიერთობებს, ზოგადსაქოებრივ პრობლემებსა და ფასეულობებს. ერთი სიტყვით, წარმოდგენა გვექმნება მსოფლიო ლიტერატურაზე.

თანატოლებს ვურჩევ, ნაკითხონ ეს სახელმძღვანელო, დაფიქრდნენ მთავარზე და მერე იმსჯელონ, თუ რა მისცა მათ წიგნმა.

**ლილიკო კვიციანი:**  
ჩემი აზრით, XII კლასი და თორმეტწლიანი სასწავლო სისტემა ძალიან მნიშვნელოვანი და გამართლებულია. სკოლის დამთავრება ისეთ ასაკში გინევს, რომ უკვე

თავდაჯერებული, შენს თავში დარწმუნებული ხარ, აღარ მერყეობ. იცი, რა გინდა, ვინ გინდა გახდე, აღარ ორჭოფობ. ეს არის დრო, როცა უკვე მყარი ნიადაგი მზადდება ცხოვრების ახალი ეტაპის დასაწყებად.

რამაც უფრო შემაყვარა XII კლასი, ეს ჩვენი „ქართულის“ სახელმძღვანელოა, წიგნი ისეა შედგენილი, რომ ყველაფერი ჩვენს აზროვნებაზეა დამოკიდებული. ჩვენ ვფიქრობთ, ვკამათობთ და სწორ დასკვნამდე მივდივართ, რაც გაანალიზებასა და ტექსტის კარგად აღქმას გვეხმარება.

ამ წიგნში, ასევე, შესულია მსოფლიოს ცნობილი მწერლების ნაწარმოებების ნაწყვეტები, რაც კიდევ უფრო დიდ ინტერესს გვიძობს ამა თუ იმ ნაწარმოების ნაკითხვისას.

საუბარს იმაზე, რომ XII კლასი საჭირო არ არის ან ქართულის სახელმძღვანელო დიდტანინა და პრაქტიკულად შეუძლებელია მისი დაძლევა, არ ვეთანხმები, პირიქით, ეს მეტად საჭირო და აუცილებელია თითოეული ჩვენგანისთვის.





# არამოქალაქეობრივად, მაშინაც კი, როცა ბაბრაზებულები ხართ!

## ეროვნული კვლევა გავფიქრებთ და გავფიქრებთ შორის ძალადობის გამოწვევებზე

### პირველი გვერდიდან

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ოჯახებში ბავშვების ადრეული ასაკიდან გვხვდება. მიუხედავად მშობლების დიდი სურვილისა, შვილებთან ურთიერთობისას ქცევის მართვის დადებითი მეთოდები გამოიყენონ, ძალადობა მაინც ხორციელდება. შედარებით მონადირე ბავშვების შემთხვევაში, ნათელია, რომ მშობლების მხრიდან ძალადობის გარდა, ოჯახებში თანატოლთა მხრიდან ძალადობაც შეიმჩნევა.

„ჩვენ ძალზე გვალევიან ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტები, – განაცხადა ჯოვანა ბარბერისი, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში, – ბავშვთა მიმართ ძალადობა საკმაოდ გავრცელებულია მსოფლიოში და მას სათანადო ყურადღება არ ექცევა. საქართველოში ჩატარებული კვლევამ ბავშვების მიმართ ძალადობის საკმაოდ მაღალი დონე გამოავლინა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში არსებული სიტუაცია დიდად არ განსხვავდება სხვა ქვეყნებისაგან, სადაც მსგავსი კვლევა ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ მშობელთა უმრავლესობა (90 პროცენტი) იყენებს ბავშვთა აღზრდის პოზიტიურ მეთოდებს, მაგრამ ასევე ხშირად მიმართავენ ფიზიკური დასჯის თუ ფსიქოლოგიური ზეწოლის ფორმებსაც. შემამოთხბელია თანატოლებს შორის არსებული ძალადობის ფაქტები და ასევე ბავშვების ე.წ. შეწვევების მეთოდი, რომელსაც მშობლების 46,1 პროცენტი მიმართავს და რომელიც საკმაოდ საშიშია ბავშვთა ცენტრალური ნერვული სისტემისათვის“.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსწავლეთა დამოკიდებულება სკოლისადმი ძალზე დადებითია და ბავშვების უმეტესობამ სკოლა უსაფრთხო ადგილად დაასახელა. თუმცა ბავშვების 47,1-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ მათ მიმართ განხორციელდა ფიზიკური ძალადობა, ხოლო სკოლაში ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები აღნიშნა მოსწავლეთა 47,5 პროცენტმა. ძალადობა ყველაზე ხშირად მოსწავლეებს შორის ხდებოდა, თუმცა სკოლის ფარგლებში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობაში უფროსებიც შეიმჩნეოდნენ. ძალადობას მოსწავლეებს შორის ყველაზე ხშირად ადგილი აქვს სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სათამაშო მოედნებზე, სკოლისკენ მიმავალ გზებზე.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯა ადრეული ასაკიდან დაფიქსირდა. ერთი წლის და უფრო დაბალი ასაკის ბავშვების 19 პროცენტი ფიზიკურად ისჯება. ეს პროცენტი, ოთხიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებში, 90-მდე იზრდება. ფსიქოლოგიური დასჯაც იმავე პროცენტულობით დაფიქსირდა.

ფიზიკური დასჯის ყველაზე გავრცელებული მეთოდია საჯდომზე ხელის წამორტყმა, შეწველა, თმის მოჭრა და ყურის აწევა. ფსიქოლოგიური დასჯის ყველაზე გავრცელებული ფორმას წარმოადგენს ყვირილი, ბავშვისთვის დამცინავი სახელების დაძახება, ბავშვის წყევლა ან დაშინება მიტოვებით.

კვლევის შედეგად განსაკუთრებით შემამოთხბელი ინფორმაცია გამოვლინდა – რესპონდენტთა მე-

ხუთედი (2,15 პროცენტი) ბავშვის სისტემატურ ცემას აღიარებს, რვა რესპონდენტმა – ბავშვის მოხრჩობის, ხოლო ექვსმა ბავშვის დანვის მცდელობაც აღიარა.

**ჯოვანა ბარბერისი:** „ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ მთავრობასთან, რათა ერთობლივი ძალისხმევით შევძლოთ სიტუაციის გაუმჯობესება, მიმდინარე სოციალური რეფორმის ფარგლებში. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ბავშვთა კეთილდღეობის ახალ სამოქმედო გეგმაში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ჩართვა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ფარგლებში, ვთანამშრომლობთ იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსთან, რათა სიტუაცია გაუმჯობესდეს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში. განათლებასა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კი შექმნილი უსაფრთხო სკოლის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვებს შორის ძალადობის მზარდი შემთხვევების აღმოფხვრას. ასევე ვთანამშრომლობთ ჩვენს პარტნიორებთან, რომ ხელი შევუწყოთ მშობელთა ცოდნის დონის ამაღლებას ბავშვთა აღზრდის საკითხებზე. მნიშვნელოვანია, მშობლებმა იცოდნენ, ბავშვთა აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენების შედეგად უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ თავად ბავშვებმა, შემდგომში პრობლემების გადაჭრისას, სწორედ ძალადობრივი მეთოდები გამოიყენონ“.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა სწორედ ცნობიერების დონის ამაღლება ეხება საზოგადოებასა და პროფესიულ წრეებში. საგანმანათლებლო პროგრამების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ მშობელთა უმეტესობა ბავშვთა აღზრდის არაძალადობრივ, პოზიტიურ მეთოდებს იყენებს, ამას ხაზგასმით სჭირდება ხელშეწყობა და ნახაღისება.

ეროვნული კვლევის მიზანი – გამოვლენილიყო საქართველოში ბავშვთა ძალადობის ხასიათი და მასშტაბი, განხორციელდა სკოლებში, ოჯახებში, მშობელთა და ბავშვთა მზრუნველობის მოკლებულ დაწესებულებებსა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კოლექტიურ ცენტრებში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, ასევე, ჩატარდა კვლევა საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ, რომელიც დეტალურად აღწერს ბავშვთა მიმართ ძალადობისა და უგულვებელყოფის მხრივ არსებულ სიტუაციას სკოლებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე.

ძალადობა ბავშვთა და მოზარდთა მიმართ მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით გვხვდება მთელი მსოფლიოს სკოლებში. 37 ქვეყანაში ჩატარებული ვრცელი კვლევის შედეგების მიხედვით, მოსწავლეთა, საშუალოდ, 28 პროცენტმა განაცხადა, რომ სხვადასხვა ფორმის ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ უკანასკნელი თვის განმავლობაში, ხოლო მოსწავლეთა, საშუალოდ, 48 პროცენტის განცხადებით, მათი მეგობარი გახდა სკოლაში ძალადობის მსხვერპლი. აღნიშნული კვლევის თანახმად, სკოლებში ძალადობის პროცენტული მაჩვენებლები ყველაზე მაღალია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში – რუმინეთი, უნგრე-

თი. სკოლებში ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია მუშტით ჩხუბი, ხელის კრა და ე.წ. „ბულინგი“ – დაშინება, დაჩაგვრა.

საქართველოს სკოლებში ძალადობის კვლევით (გამოიკვლია 1300 ბავშვი საქართველოს 93 სკოლიდან: თბილისის – 33 და რეგიონის – 60 ) გამოვლინდა, რომ მოსწავლეებს დადებითი დამოკიდებულება აქვთ სკოლის მიმართ და უმეტესობა სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობს. ამავე კვლევით აღინიშნა, რომ 47,1 პროცენტი ფიზიკურ, ხოლო 47,5 პროცენტი ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდიდა. ზოგადად, ძალადობა მოსწავლეების მხრიდან მომდინარეობს, თუმცა, აღინიშნა, რომ ისკოლის გარემოში მყოფი უფროსებიც ხშირად ახორციელებენ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ძალადობას ბავშვების მიმართ. მოსწავლეებმა ზოგადად აღნიშნეს, რომ ძალადობა მოსწავლეებს შორის ხდებოდა სკოლის სათამაშო ტერიტორიაზე ან სკოლისკენ მიმავალ გზაზე.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ცდილობს, შეიმუშაოს უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა, რომლის მიზანია, სკოლა ძალადობისაგან თავისუფალი ადგილი გახდეს. ამისთვის კი აუცილებელია გაცნობიერებულ იქნეს სკოლებში ძალადობის მასშტაბი, მოსწავლეთა შორის ძალადობა და უფროსების მიერ ბავშვთა ძალადობა, ასევე სკოლებში არსებული კლიმატი და სკოლის, როგორც ორგანიზაციის, მზაობა, განახორციელოს ახალი სტრატეგია და პროგრამები ცვლილებების ხელშეწყობისა და უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით.

**ნიკა გვარამია,** განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: „ძალიან დიდი მადლობა ამ კვლევისთვის, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი მონაცემების შემცველია როგორც განათლების სამინისტროსთვის, ისე სახელმწიფოსთვის. კვლევები მოიცავს, მთელი რიგი მიმართულებით, ამ პრობლემების დაძლევის რეკომენდაციებს, რჩევებს, რომელთა განხორციელებითაც შეიძლება მივიღოთ უფრო პროდუქტიული შედეგებამდე, ვიდრე დღეს გვაქვს.“

მთავარია, რომ ბავშვებს შორის და ბავშვებზე ძალადობის პრობლემები მართლაც გვაქვს. ბუნებრივია, საზოგადოებაში არსებული ძალადობრივი ფონი სკოლაში გადმოედის. ბავშვთა მიმართ ძალადობა, შესაძლებელია, დაიწყოს სკოლაში, თუმცა, როგორც წესი, ეს ხდება სკოლის მიღმა, იმ სოციალურ, სადაც ბავშვი იმყოფება, ამის შემდგომ კი მისი გაძლიერებულად ასახვა შეიძლება სკოლაში მოხდეს. შესაბამისად, სასკოლო სექტორში ძალადობის დაძლევის პროცესი მდგომარეობს იმაში, რომ ამ პროცესში უნდა ჩაერთოს საზოგადოების ყველა წევრი, ანუ ამ პროცესის ყველა მონაწილე. რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ეს არის ოჯახი – ოჯახისგან გამოვლენილი ყურადღება მოზარდის მიმართ; თავისთავად უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრებს სკოლას, მასწავლებელს, დირექტორს; ასევე უნდა გაფართოვდეს ჩართულობა საზოგადოების სხვადასხვა უწყებების მხრიდან, სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების მხრიდან. ჩვენი ამოცანაა, მივაღწიოთ იმას, რომ ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობა ავიყვანოთ უმაღლეს საფეხურზე, ვინაიდან ქცევის კონტ-

როლი და შემდგომი კორექცია მხოლოდ ასეთი თანამშრომლობის პირობებშია შესაძლებელი. ჩვენი ამოცანაა, მასწავლებლები და დირექტორები – სასკოლო პერსონალი – მზად იყოს ქცევის კორექციისთვის, ვგულისხმობ პერსონალურ მზაობას და შესაბამის კვალიფიკაციას; მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოფილი იქნეს მონაწილეთა სასკოლო პროცესში, ჩვენი ამოცანაა სამართალდამცავი ორგანოების ჩართვა სასკოლო პროცესში ისე, რომ ამან არ დააზიანოს სასკოლო პროცესის მიმდინარეობა, მაგრამ, ამავედროულად, მოიტანოს მნიშვნელოვანი ეფექტი ძალადობის პრევენციის პროცესში.

სამართალდამცავი ორგანოები, სასურველია, ჩაერთონ პრევენციის სტრატეგიაში, რათა შემდგომში არ დადგეს იმის საჭიროება, რომ მათ სხვა მექანიზმები გამოიყენონ და, რაც მთავარია, სამართალდამცავი ორგანოების ჩართვა უნდა მოხდეს არა რეპრესიული, არამედ, რაც შეიძლება, რბილი, მოსწავლეთათვის მისაღები ფორმით.

ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სამომავლოდ, ვინაიდან, ბუნებრივია, ადამიანის სამოქალაქო თვითშეგნების მნიშვნელოვანი სეგმენტი არის სამართლებრივი თვითშეგნება, რაც მნიშვნელოვანია უკავშირდება სამართალდამცავ ორგანოებს. ჩვენი ამოცანაა, მოვხსნათ ის შესაძლო სტიგმა, რომელიც საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს და რომელიც სწორედ სასკოლო ასაკიდან ვითარდება – სამართალდამცავ ორგანოებს განხილავენ მხოლოდ რეპრესიულ სადამსჯელო დაწესებულებად. ჩვენი ამოცანაა, ეს თანამშრომლობა სწორედ ამ მიმართულებით გაღრმავდეს. ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით, სამოქალაქო განათლების ფარგლებში, ხორციელდება სამართალდამცავი ორგანოების სკოლასთან ურთიერთობის პროგრამა, მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას ძალადობისა და მასზე რეაგირების ფორმების შესახებ, ამ წათკენიან ინფორმაციის მიღება მათთვის მნიშვნელოვანია როგორც ინფორმაციული, ისე ფსიქოლოგიური ბარიერის მოხსნის თვალსაზრისით.

ამ პრობლემის დაძლევის პროცესში ჩართული ადამიანების კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს ამ სირთულეების დაძლევის ამოცანას, ვინაიდან ეს ძალიან სპეციფიური პროცესია და უმთავრესი როლი პრევენციის უნდა ენიჭებოდეს, რათა არ მივიდეს საქმე სადამსჯელო ღონისძიებებამდე. ეს არის ჩვენი ამოცანა – საკმაოდ რთულად გადასაწყვეტი. პირველ რიგში, საჭიროა კვალიფიკაციის ამაღლება. ეს პროცესები ახალი დაწყებულია და, სამწუხაროდ, ამას მასობრივი ხასიათი არ აქვს, თუმცა მათი მიმდინარეობა მაძლევეს იმედს, რომ სასკოლო სექტორში, რამდენიმე წელში, შევძლებთ იმის უზრუნველყოფას, რომ სკოლაში ერთი ფსიქოლოგი მაინც გვაყავდეს და, პედაგოგიური უნარების მხრივ, მასწავლებლებმა მიიღონ შესაბამისი განათლება, ტრენინგები, რამაც სასკოლო უსაფრთხოების საქმეში შესაძლოა მნიშვნელოვანი ეფექტი მოგვიტანოს.

ეს კვლევა, გარდა იმისა, რომ ძალიან ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს, ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვის შესაძლებლობასაც გვაძლევს.“

**დავით ლომიძე,** შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე: „ამ კუთხით ჩატარებული კვლევა ჩვენთვის მნიშვნელოვანია. პირველ რიგში, მაღლობა მინდა გადავუხადო კვლევის ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს. ეს დოკუმენტი მართლაც მნიშვნელოვანია არსებული სიტუაციის ანალიზითა და წარმოდგენილი რეკომენდაციებით, რომლის მიხედვითაც, უახლოეს პერიოდში, ვფიქრობთ, საკმაოდ ცვლილებებს განვახორციელებთ უშუალოდ პოლიტიკასა და დაგეგმულ ღონისძიებებში. ზოგადად, როგორც კვლევებმა აჩვენა, საქართველოს მაჩვენებლები, მსოფლიო მაჩვენებლებთან შედარებით, საგანგაშო არ არის, მიუხედავად ამისა, აუცილებლად უნდა განვახორციელოთ შესაბამისი ღონისძიებები. განსაკუთრებით ეს ეხება სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მყოფ ინსტიტუტებსა და მცირე საოჯახო ტიპის დაწესებულებებს, სადაც უშუალოდ ამ სფეროს რეგულირებას ახორციელებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ეს არის მცირე სეგმენტი, ძირითადად, სოცუმპაკეტში და სოციალური მომსახურების შესაბამისმა სააგენტომ უნდა იმუშაოს უშუალოდ ბავშვებთან. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ვითანამშრომლებთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, საპატრულო პოლიციასთან, სამედიცინო დაწესებულებებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, რომლებიც პირველები წარმოადგენენ ბავშვთა ძალადობის ფაქტებს. ერთობლივი მუშაობით აუცილებლად მივაღწევთ შედეგს.“

2009 წლის ბავშვთა ზრუნვის პროგრამით დაგეგმილ ღონისძიებებში ვინდა ჩავთვალოთ კომპონენტები, რომლის მიხედვითაც 5 საპოლიტე რეგიონში შეიქმნება ბავშვთა ძალადობის რეფერალური ცენტრები, სადაც იმუშავენ ფსიქოლოგი და სოცუმპაკეტი, რათა ამ რეგიონში ბავშვთა ძალადობის მაჩვენებლები გამოვავლინოთ და შევკრიბოთ. ვფიქრობ, ამ სფეროში ძალიან ბევრია გასაკეთებელი, დაგეგმილი ღონისძიებები ზღვაში წვეთია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ერთობლივად ჩვენ შევცვლით დღევანდელ მაჩვენებლებს.“

კონკრეტულ რეკომენდაციებში, სკოლებში ძალადობის შემცირების მიზნით ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების ხელშეწყობად, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს ყოვლისმომცველი პოლიტიკა და სტრატეგია ამ საკითხების მოსაგვარებლად. ეს პოლიტიკა და სტრატეგია არ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სადამსჯელო რეაგირებას, ძალადობის შემთხვევაში. ამავე რეაგირება დაბალანსებული უნდა იყოს პროაქტიული და პრევენციული რეაგირებით. აღნიშნული მიდგომის მეშვეობით, მოსწავლეებს უნდა განუვითაროთ სათანადო სოციალური და ემოციური უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარება მათ იმის სწავლაში, თუ როგორ მოქმედონ არამომადეგობრულად მაშინაც კი, როდესაც გაბრაზებული არიან ან როდესაც მათი პროვოცირება ხდება.

ათმოდია

სახალისო ცდები ქიმიდან

ახლა გაგაცნობთ ცდას, რომელიც ბევრ ასოციაციას იწვევს და მასწავლებელს ბევრი საკითხის ახსნის საშუალებას აძლევს. აქ შეიძლება აღქმითიკოსებზეც ილაპარაკოთ, მათ დადებითსა და უარყოფით გაგვინახებთ ქიმიის მეცნიერების განვითარების გზაზე, ელემენტების მოპოვების თანამედროვე მეთოდებზე და ა.შ. ყველაფერი მასწავლებლის მონდობაზე და განათლებაზე დამოკიდებულია.

„ოქრო“ – წყალში ხსნადი და წყალში უხსნადი
აიღეთ 2 კოლა. ერთში მოათავსეთ 25 მლ. ტყვიის აცეტატის (CH3COO)2Pb – ის ხსნარი მასური წილით 20%; მეორეში – 50 მლ კალიუმის იოდის ხსნარი KI-ის მასური წილით 5%. ხსნარები გააცხელეთ ადუღებამდე, ჩაასხით მესამე კოლაში ერთად და გააცივეთ. 5-10 წუთის შემდეგ გამოიყოფა ტყვიის იოდის ყვითელი ფანტლები, რომელიც თავისი ბრწყინვალეობით ძალიან ნაგავს ოქროს. გაცხელებით „ოქროს“ ფანტლები (თევზის ქერცლის მსგავსი) ქრება, რადგან ტყვიის იოდის გადადის ხსნარში. გაცივებით „ოქროები“ კვლავ გამოიყოფა:

$$Pb(CH_3COO)_2 + 2KI \rightarrow 2CH_3COOK + PbI_2 \downarrow$$

რა თქმა უნდა, აქ არავითარ ოქროსთან საქმე არა გვაქვს. მაგრამ რატომ იპყრობს ადამიანის გულს, თვალსა და გონებას ოქრო?

ოქრო იყო ერთ-ერთი ის პირველი ლითონი, რომელიც ადამიანმა იპოვა და გამოიყენა. ოქროს გარეგნულმა სილამაზემ და დამუშავების სიადვილემ (ოქროს ფიზიკური თვისებები) იგი ადამიანის სასურველ მონაპოვრად გახდა. მისგან სამკაულებს ამზადებდნენ. მოგვიანებით ფულის, მონეტების დასამზადებლადაც გამოიყენეს. ბოლო საუკუნეებში კი მისმა ფიზიკური და ქიმიური თვისებების უნიკალურმა შესაძლებლობებმა მეცნიერებსაც დიდი სამსახური გაუწია.

იგივე შეიძლება ითქვას პლატინის, ვერცხლისა და სპილენძის შესახებაც. ის, რომ ამ ლითონებს ადამიანი თავისი განვითარების პირველივე ეტაპიდან იყენებს, თითქოს იმას ნიშნავს, რომ ისინი ბუნებაში დიდი რაოდენობით არსებობენ. სინამდვილეში საქმე გვაქვს სულ სხვა მოვლენასთან. ეს ლითონები ბუნებაში თავისუფალი სახით მოიპოვებიან და მათი შემწევა და მათი მოხიზვლა ადამიანს არ გაუჭირდებოდა.

ადამიანებმა ისწავლეს ოქროს, ტყვიის, თუთიის გამოყენებაც. ეს უკვე მას შემდეგ, რაც მადნებიდან მათი გამოდნობით მიღების ხერხებს მიაგნეს.

ჩამოთვლილი ელემენტების რაოდენობა დედამიწის ქერქში დიდად აღემატება იმ ელემენტების გავრცელებას ბუნებაში, რომლებიც იშვიათ ელემენტებად არიან ცნობილი (მაგალითად ლანთანიდები).

ქიმიური ელემენტების მარაგის გულდასმითი „ბუღალტერია“ დაიწყო მეცნიერული გმობით. ეს „გმობა“ მოახდინა ამერიკელმა მეცნიერმა ფრენკ კლარკმა. მან, დაახლოებით, 5500 ქიმიური ანალიზი ჩაატარა; იკვლევდა სულ სხვადასხვა მი-

წერალებს – ტროპიკებიდან და ტუნდრებიდან, სულ სხვადასხვა წყალს – მიყრუებული ტაიგის ტბიდან და წყნარი ოკეანიდან, იკვლევდა ყველაწარმო ნიადაგს დედამიწის სხვადასხვა მხარეებიდან.

ოცი წელი გრძელდებოდა ეს ტიტანური შრომა. კლარკისა და მისი თანამშრომლების დამსახურებაა, დღეს კაცობრიობამ დედამიწის ქერქის საკმაოდ ზუსტი შემადგენლობა რომ იცის, ანუ რომელი ელემენტები და რა რაოდენობითაა დედამიწაზე.

ასე წარმოიქმნა ახალი მეცნიერება – ბიოქიმიკა. მან გააცნო ადამიანებს ისეთი საოცარი ისტორიები, რომელიც ადრე არ იყო ცნობილი. აი, რა აღმოჩნდა:

მეწველევების ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემის პირველი 26 ელემენტი – წყალბადიდან რკინამდე – პრაქტიკულად წარმოქმნიან დედამიწის ქერქს. ეს ელემენტები შეადგენენ დედამიწის ქერქის 99,7 პროცენტს. სულ რაღაც 0,3% მოდის დანარჩენ 67 ელემენტზე, რომლებიც დედამიწაზე არსებობენ.

რა არის დედამიწაზე ყველაზე მეტი?

ბუნებაში გავრცელების მხრივ არც რკინა, არც სპილენძი, არც კალა (რომლებსაც ადამიანები ათასწლეულებია მოიპოვებენ და მათი მარაგი უზარზამარი და გამოუღვევლი წარმოედგინათ) არ დგანან პირველ ადგილზე. დედამიწაზე ყველაზე ბევრია ჰანბანბანი. თუ წარმოსახვით სასწორზე ერთ მხარეს დავდებთ დედამიწის შემადგენელი ჟანგბადის მთელ რაოდენობას, ხოლო მეორე მხარეს – ყველა დანარჩენ ელემენტს ერთად აღებულს, სასწორის პიწიზე თითქმის განოწონსწორდება. ე.ი. დედამიწის ქერქის თითქმის ნახევარი ჟანგბადისაგან შედგება. იგი გვხვდება წყლებში, ატმოსფეროში, მთის ქანებში, ნებისმიერ ცხოველში, მცენარეებში – ჟანგბადი ყველგან საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

დედამიწის მყარი ნაწილის მეოთხედს სილიციუმი შეადგენს. Si – არაცოცხალი ბუნების საწყისთა საწყისი.

დედამიწის ელემენტების დანარჩენი რაოდენობრივი შედგენილობა ასეთია: ალუმინი – 7,4%, რკინა – 4,2%, კალციუმი – 3,3%, ნატრიუმი – 2,4%, კალიუმი და მაგნიუმი – 2,25%, წყალბადი – 1,0%, ტიტანი – 0,6%.

აი, ჩვენი პლანეტის ქიმიური ელემენტების პირველი ათეული.

მაშ, ყველაზე ცოტა რა არის დედამიწაზე?

ყველაზე ცოტა ვერცხლი, ოქრო და პლატინა. სწორედ ამიტომ ფასობენ ასე ძვირად. მაგრამ მაინც „იშვიათი ელემენტები“ სტატუსი მათ არ ეკუთვნით. ეს სამწუხარო ტიტული ეკუთვნით რადიოაქტიური ელემენტების დამოს მცირედ პროდუქტებს. მათ უწოდებენ ელემენტ-აჩრდილებს.

გეოქიმიკოსები გვამცნობენ: პოლონიუმი დედამიწაზე მხოლოდ 9 600 ტონაა, რადონი კიდევ უფრო ცოტა – 250 ტონა, აქტინიუმი – 26 000 ტონა, რადიუმი და პროტაქტინიუმი, აჩრდილებს შორის ნამდვილ გიგანტებად აღიარებულნი, თავისი 100 მილიონი ტონის გამო, ოქროსა და პლატინასთან შედარებით, მაინც უმნიშვნელო რაოდენობად ითვლებიან. მაგრამ, აი, ასტატი და ფრანციუმი უზერხეული ცია „აჩრდილებს“ მივაკუთვნოთ, ისინი კიდევ უფრო მცირე მატერიას წარმოადგენენ. მათი რაოდენობა (სასაცილოც კია) განიზომება... მილიგრამებით. სახელი დედამიწის ყველაზე იშვიათი ელემენტისა არის –

ასტატი (69 მილიგრამი დედამიწის ქერქის მთელ მასაში). როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

საინტერესოა ცნობები ტრანსსურანული ელემენტების შესახებაც, მაგრამ ამ თემას ცალკე გამოყოფა მოუხდება.

ახლა კი მივბრუნდეთ ოქროს მიღების ხერხების მომავალ პერსპექტივებზე ვილაპარაკოთ. ეს საკმაოდ საინტერესო თემაა. მოსწავლეებს ეფექტურად უნდა დაანახოთ ის პრობლემები, რომელიც მომავალი თაობების გადასაჭრელია. შეიძლება რომელიმე შემდგომში კიდევაც მიხედოს ამ პრობლემას. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა ზღვის წყლიდან ოქროს მიღება.

ვერ წარმოიდგენთ, რას არ შეიცვალა ოკეანისა და ზღვის წყალი. მათ კვებავს კონტინენტებისა და კუნძულების ნაპირებიდან ჩამორეცხილი მარილები; წვიმა ხსნის ხმელეთზე არსებულ მინერალებს და მიაქანებს მდინარეებისკენ. ეს უკანაყენელი, თავის გზაზე, ხსნის უამრავ ნივთიერებას და უშვებენ ზღვებსა და ოკეანეებში. მილიონი საუკუნეების განმავლობაში ოკეანე თავის ნიაღში აგროვებდა ყველაწარმო ნივთიერებას, რომელიც კი არსებობდა დედამიწის ქერქში.

ამ ნივთიერებებს შორის არის ოქროც, რომელიც ოკეანისა და ზღვის წყალში ქლორიდის სახით მოიპოვება. ეს არის ძალიან განზავებული ხსნარი. 200 000 ტონა ოკეანის წყალი შეიცავს, არა უმეტეს, ერთ გრამ ოქროს. ოქროს შემცველი მადნის ყველაზე ღარიბი საბადოც კი (რომელთა ექსპლოატაცია თითქმის უკვე არახელსაყრელია) 12 000-ჯერ მეტ ოქროს შეიცავს, ვიდრე ოკეანის წყალი.

სამაგიეროდ, ოკეანეში წყალი ისეთი კოლოსალური რაოდენობითაა (1 200 000 000 კუბური კილომეტრი), რომ, თუ შევძლებდით მისგან ოქროს გამოყოფას, მივიღებდით, დაახლოებით, 4 მილიარდ ტონას.

დედამიწის მთელი მოსახლეობა დღეისათვის, დაახლოებით, 6 მილიარდია. აქედან გამომდინარე, თითოეულ ჩვენგანზე, თეორიულად, თითქმის 0,7 ტონა ოქრო მოვა. ამდენს აიწონის ოქროს ფირფიტა, რომლის სიგრძე და სიგანე 1 მეტრია, ხოლო სისქე – 3,5 მილიმეტრამდე.

არ გვეგონოთ, რომ ჯერ არ ყოფილიყოს მცდელობა ოკეანიდან ოქროს მოპოვებისა. მცდელობა ბევრი იყო. ზოგიერთი მათგანი, მეცნიერული თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად წარმატებულად იყო, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით არც ერთი არ ყოფილა ძველი ალქიმიკოსების მიერ იაფი ლითონებიდან ოქროს მოპოვების ცდებზე წარმატებულად.

ოკეანის ოქრო ელოდება იმ მეცნიერებს, რომლებიც მიაგნებენ ოკეანიდან ოქროს მოპოვების იაფ მეთოდს. პედაგოგებს კი ისლა დაგვრჩენია, ვიამაყოთ ჩვენი მოსწავლეებით, რომლებიც მომავალში ამ პრობლემებს გადაწყვეტენ.

მეტად მნიშვნელოვანი და სასურველია, მასწავლებელმა იზრუნოს რაიმე პროფესიით მოსწავლის დაინტერესებაზე, რადგან გეოქიმიას ასხენებთ, აქ მოსწავლეებს შეიძლება დამატებითი ინფორმაციის მოძიება სთხოვოთ. ინტერნეტის შესატყობლებში ამ მხრივ განუზომელია. გეოქიმიის ყოველთვის საინტერესო და აქტუალური მეცნიერება იქნება.

გისურვებთ წარმატებებს

მარიამ სურგულაძე

ბუნების ბაკკითილი. V კლასი

დაწყებით სკოლაში ბუნებისმეტყველების სწავლება მიზნად ისახავს ცოცხალი სამყაროს (ბიოლოგია), ფიზიკური მოვლენების (ფიზიკა) და ქიმიური მოვლენების (ქიმია) ელემენტარული ცნებების შესწავლას და ამ მეცნიერებებს შორის ურთიერთკავშირის დამყარებას. ბუნებისმეტყველების კურსში ასევე განიხილება ფიზიკური გეოგრაფიის ზოგიერთი ასპექტი, ასტრონომიის საწყისები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებისმეტყველების პედაგოგს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. მასწავლებელმა უნდა შეძლოს შეაყვაროს ბავშვს ბუნება, გამოუმუშაოს მისდამი მზრუნველი დამოკიდებულება და სურვილი ახლის ძიებისა. ბუნების გაკვეთილები უნდა იყოს ცოცხალი, აქტიური და საინტერესო, რაშიც რა თქმა უნდა, პედაგოგს დაეხმარება სწორად დაგეგმილი გაკვეთილი. ბუნებისმეტყველებაში გაერთიანებული მეცნიერებები აღწერაზე და ექსპერიმენტზეა დაფუძნებული. უკანასკნელს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც ექსპერიმენტის გზით მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავად გამოიკვლიოს ესა თუ ის ობიექტი ან მოვლენა და გააკეთოს დასკვნები. ამ გზით მიღებული ცოდნა უფრო მყარი და საფუძვლიანია. ვთავაზობთ ჩემ მიერ V კლასში ჩატარებული გაკვეთილის გეგმას.

ბაკკითილის თემა: სასარგებლო წიაღისეული. არამადნეული წიაღისეული.

ბაკკითილის მიზანი: მოსწავლემ ექსპერიმენტის საშუალებით შეისწავლოს თიხის, ქვიშის და ტორფის თვისებები, დაუკავშიროს აღნიშნული წიაღისეულების გამოყენება მათ თვისებებს.

ბამოწყენებული მასალა: ფორმატები, ჭიქები, ძაბრი, გრაფინი წყლით, შტატივი, ფილტრის ქაღალდი, თიხა, ქვიშა, ტორფი, მინის წკირი.

ბაკკითილის დრო: 45 წთ.

ბაკკითილის მსვლელოება

კლასს მივმართავ, რომ წიაღისეულის თვისებების ცოდნა ადამიანს მათი გამოყენების საშუალებების მიგნებაში ეხმარება. ამ მიზნით, წიაღისეულის თვისებებს სპეციალისტები იკვლევენ, თუმცა ზოგიერთი წიაღისეულის გამოკვლევა ჩვენც შეგვიძლია. ჩვენი დღევანდელი გაკვეთილის მიზანია არამადნეული წიაღისეულის – თიხის, ქვიშის და ტორფის თვისებების გამოკვლევა. შემდეგ მოსწავლეებს ვთავაზობ დისკუსიას თემაზე, თუ როგორ იყენებს ადამიანი აღნიშნულ წიაღისეულებს (3 წთ.)

დისკუსიის შემდეგ კლასს დავყოფ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფს მაგდაზე აქვს: შტატივი, ორი ჭიქა, გრაფინი წყლით, მუშის ძაბრი, ფილტრის ქაღალდი; ერთ-ერთი წიაღისეულის (თიხა, ქვიშა, ტორფი) ნიმუში, მინის წკირი.

მოსწავლეებს ვუბნებთ, რომ წიაღისეულის გამოკვლევა უნდა მოვახდინოთ შემდეგი ნიშან-თვისებების მიხედვით:

- 1. ფერი;
2. სუნი;
3. სტრუქტურა (ფხვიერია და შედგება ნაწილაკებისგან, ნაწილაკები არ ჩანს, ანუ ერთგვაროვანი).
4. მაგარია თუ რბილი;
5. გამჭვირვალობა;
6. ბზინვაარება;
7. წყალს ატარებს თუ არა;
8. წყალზე მსუბუქია თუ მძიმე;
9. შესაძლებელია თუ არა საკვლევი წიაღისეულის მოხელვა (აღნიშნული გეგმას ჩამოვწვი დაფაზე ან წინასწარ მომზადებულ პლაკატს დავკიდებ).

მოსწავლეებს ვეცვი, რომ პირველ ეტაპზე მათ უნდა გამოიკვლიონ პირველი 6 თვისება და დაწერონ ფორმატის ქაღალდზე (10 წთ.)

პრეზენტაციების შემდეგ ვადავივართ ექსპერიმენტის ჩატარებაზე:

ცდა №1. ვიკვლევთ, თუ რომელი წიაღისეული ატარებს წყალს უკეთესად:

ცდისთვის ვიღებთ მუშის ძაბრს და ვამაგრებთ შტატივზე. ძაბრში ჩავაფენთ ფილტრის ქაღალდს და მოვათავსებთ მცირე რაოდენობით გამოსაკვლევ წიაღისეულს. ძაბრის ქვემოთ ვდგამთ ჭიქას. შემდეგ საკვლევ მასალას ძაბრში დავასხამთ წყალს მინის წკირის მეშვეობით და ვაკვირდებით, როგორ ჩამოვლის წყალი ძაბრის ქვემოთ ჭიქაში (აღნიშნული ცდა ჯგუფებმა პარალელურად უნდა ჩატარონ, რათა შეძლონ შედარება, თუ როგორ ატარებს წყალს სხვადასხვა წიაღისეული) (3 წთ.).

Table with 8 columns: წიაღისეული, ფერი, ბზინვაარება, ერთგვაროვანია, გამჭვირვალობა, მაგარია, იზილება, წყალს ატარებს

პრეზენტაციები (5 წთ.)
მივდივართ დასკვნამდე, რომ თიხა წყალს არ ატარებს, ტორფი წყალს მცირედ ატარებს, ხოლო ქვიშაში წყალი სწრაფად გადის.

გაკვეთილის დასასრულს მივცემ შესაბამის საშინაო დავალებას.

ნათა ბიჭიაშვილი

გაეროს ასოციაციის საერთაშორისო სკოლა
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

# ქართული ფესვები ევროპაში – ბრიტოლ ფერაძის ნაფიქრალით გამოწვეული ქართველ სტუდენტთა შთაბეჭდილებები

9-19 მარტს, წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტში (რექტორი **ვახტანგ ფერაძე**), ლექციების ციკლის წასაკითხად, სპეციალური მოწვევით, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორები – **დავით ყოლბაია** და **ჰენრიკ პაპროცკი** ჩამოვიდნენ. სალექციო კურსის განრიგით გათვალისწინებულმა დისციპლინებმა სტუდენტებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. 10 დღის განმავლობაში მათ საშუალება ჰქონდათ, მოესმინათ ლექციები შემდეგ თემებზე: „ევროპული ცივილიზაცია“, „ქრისტიანული ოჯახი და წარმატებული ტრადიცია“, „ქალი და ეკლესია“, „წმინდანები და მათი სასწაულები“, „ქართული ფესვები ევროპაში“, „Европа XXI века и христианство“ „Отношение христианства к иудаизму (церкви и синагоги)“ და სხვ.

**ნიკა პეტრიაშვილი**, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი: მოხარული ვარ, რომ ჩვენს უნივერსიტეტს ბატონი დავით ყოლბაია და ჰენრიკ პაპროცკი ეწვივნენ. მათ მიერ წაკითხულმა ლექციებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ისინი ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე გვსაუბრნენ, ბევრი რამ ჩემთვის აღმოჩენა იყო. მიმაჩნია, რომ ყველა ქრისტიანმა უნდა იცოდეს, თუ როგორ განვითარდა ქრისტიანობა დედამიწაზე, რამ ჩაუყარა საფუძველი, როგორ გავრცელდა და აღორძინდა. ძალზე საინტერესო იყო ჰენრიკ პაპროცკის მიერ წაკითხული ლექცია – „Кризис и творчество сая Грузия Перадзе“. მე, როგორც წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი, ერთგვარ ვალდებულებად მიმაჩნია, ამ ადამიანზე იმაზე მეტი ვიცოდე, ვიდრე სხვა ადამიანებმა იცოდნენ. ვფიქრობ, ღირსეული წინაპრების, წმინდანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობა ახალგაზრდობისათვის უდავოდ მნიშვნელოვანია. დიდი სურვილი მაქვს, მსგავსი ლექციების ციკლი ქართულმა მამაკაცებმა წაკითხონ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, რადგან მართლმადიდებლობის შესახებ ცოდნის გაღრმავებით შესაძლებელია უფრო მეტი კეთილი საქმის კეთება და ჭეშმარიტების გზით სიარული.

**ხატია მესხია**, იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი:

ბედნიერი ვარ, რომ მომეცა საშუალება ბატონ დავით ყოლბაიას და მამა ჰენრიკ პაპროცკის ლექციებს დავესწრებოდი. ლექციებმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. შევიტყვე ძალიან ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხი. მაგალითად, თუ როგორ განვითარდა კერპთაყვანისმცემლობიდან ქრისტიანობა, რა კავშირია მათ შორის, სიღრმისეულად გავეცანი ევროპულ ცივილიზაციას. მიხარია, რომ სამომავლოდ დაგეგმა გაცვლითი პროგრამები ჩვენს უნივერსიტეტსა და ვარშავის უნივერსიტეტს შორის. ჩვენი დიდი პატივია ის, რომ სექტემბერში წმიდა გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში, მონაწილეობას, ტრადიციულად, ჩვენი უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც მიიღებენ. აღსანიშნავია, რომ მსმენელთა წინაშე მოხსენებას, წმ. გრიგოლ ფერაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტუდენტი გააკეთებს.

**ეკა ვაშაყმაძე**, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი: პირადად ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროფესორ ჰენრიკ პაპროცკის ლექციებზე დასწრებას. თითოეულ ლექციას დიდი გულსყურითა და ინტერესით ვუსმენდი. ჩნდებოდა უამრავი შეკითხვა, რომელზეც ამომწურავად გვპასუხობდნენ ბატონი დავით ყოლბაია და მამა ჰენრიკ პაპროცკი. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის რექტორატს ასეთი საინტერესო ადამიანების მოწვევისთვის.

**თამუნა კვიციანი**, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი: ყველაფერი ის, რაც ამ 10 დღის განმავლობაში ჩვენს უნივერსიტეტში ხდებოდა, მნიშვნელოვანი, საინტერესო და ნაყოფიერი იყო თითოეული ჩვენგანისთვის. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთხრა, ეს არის ის, რომ მათ დაბრუნებას საქართველოში მოუთმენლად დაველოდები.

19 მარტს, წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და სხვა მონაწილე სტუმ-

რები ვარშავის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შეხვდნენ. აღსანიშნავია, რომ მონაწილე სტუმრებს შორის იყო, ვარშავაში მოღვაწე, ქართველი მხატვარი **დავით პატარაია**, რომელმაც წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტს საჩუქრად ჩამოუტანა გრიგოლ ფერაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ხუთი ნახატი.

**ჰენრიკ პაპროცკი**, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი: მადლობელი ვარ, რომ მომეცა საშუალება საქართველოში ჩამოსულიყავი და ლექციები სწორედ წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტში წამეკითხა, ქართველი სტუდენტებისათვის კიდევ ერთხელ შემეხსენებინა გრიგოლ ფერაძის სამაგალითო ცხოვრება და მოღვაწეობა. ორ უნივერსიტეტს შორის კონტაქტის დამყარებას, პოლონელი და ქართველი სტუდენტების დამეგობრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გამყარებისათვის. იმედი მაქვს, მომავალში ჩვენი კავშირები კიდევ უფრო გაღრმავდება.

**დავით ყოლბაია**, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი: წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობის უნივერსიტეტში ჩვენი ჩამოსვლა ერთმა შემთხვევამ განაპირობა. ერთხელ მამა პაპროცკიმ მითხრა: „ჩვენ არა მარტო უნდა ვასწავლოთ წმიდა გრიგოლ ფერაძის მემკვიდრეობა, არამედ ვალდებული ვართ, ჩავიდეთ საქართველოში და ჩვენი ნაზრევი, წმიდა მამა გრიგოლ ფერაძის ნაფიქრალი და ნაწერი ქართველ ახალგაზრდობას გავაცნოთ“. გადაწყვეტივით, საქართველოში ჩამოსულიყავით და სალექციო კურსი წამეკითხა. კმაყოფილი ვარ იმ ფაქტით, რომ ლექციებზე აბსოლუტურმა დასწრებამ და სტუდენტთა აქტივობამ დაგვანახა, თუ რაოდენ დიდი მონდომებით, პასუხისმგებლობითა და ინტერესით ეკიდებიან ახალგაზრდები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე საუბარს, როგორც არის ქრისტიანობა და ევროპული ცივილიზაცია. ბედნიერი ვარ, რომ მომეცა საშუალება ჩემს სამშობლოში, ქართველი სტუდენტებისათვის წამეკითხა სალექციო კურსი. იმედი მაქვს, მომავალში გვექნება შესაძლებლობა, გავაგრ-



ძელოთ ურთიერთობა, რითაც ხელს შევუწყობთ წმიდა გრიგოლ ფერაძის წარმოჩენას საქართველოს საკეთილდღეოდ.

ბას, რომელთა შორის ერთ-ერთი მამა გრიგოლ ფერაძე იყო.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებიდან მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი, არქიმანდრიტი **მამა ადამი**; წმიდა გრიგოლ ფერაძის საზოგადოების თანათავმჯდომარე **ილიკო ფერაძე**; თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ანზორ შარაშენიძე**; პროფესორები: **მერაბ ვაჩნაძე**, **ვაჟა შუბითიძე**, **ამირან მექვაბიშვილი**, პოლონეთის ელჩი საქართველოში და სხვ.

მამა ყიფიანი





# ინტელექტუალური თამაში „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“



18 მარტს, თბილისის 51-ე საჯარო სკოლაში, გაიმართა საქართველოს საპატრიარქოს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ინტელექტუალური თამაში „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“. კონკურსი ჩატარდა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საჯარო და კერძო სკოლების გუნდებს შორის. პროექტის

ხელმძღვანელი და ფიურის თავმჯდომარე იყო საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური ცენტრის თავმჯდომარე, ცაგერის და ლენტეხის ეპისკოპოსი სტეფანე.

ინტელექტუალური თამაშის მიზანია: ახალგაზრდების სულიერი განვითარება, „ბიბლიის“ შესწავლა,

ისტორიისა და ქრისტიანული კულტურის პატივისცემა, სკოლებს შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარება.

ინტელექტუალური თამაში გაიმართა ორ ასაკობრივ ჯგუფში: VII-VIII კლასები და IX-XII კლასები. თითოეული გუნდი შედგებოდა შვიდი წევრისაგან და თან ახლდა მხარდამჭერთა ჯგუფი. გულშემატკივრებს მომზადებული ჰქონდათ საკონცერტო ნომრები: ხალხური სიმღერა, საგალობელი და ქართული ცეკვა. თამაში გაიმართა საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრიდან მონაწილეობის დასრულებული დასრულებული კონცერტით.

ინტელექტუალური თამაში „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ გულთბილ და ობიექტურ ატმოსფეროში ჩატარდა. ყველა გუნდს ჰქონდა საშუალება, სრულყოფილად გამოეცლინა გონებრივი და ინტელექტუალური შესაძლებლობა. შეჯიბრის დასრულების შემდეგ გაიმართა მოსწავლეთა მხატვრული შემოქმედების კონცერტი.

კომპეტენტურმა ფიურიმ დაასახელა უფროს სასკოლო ასაკში გამარჯვებული - 47-ე საჯარო სკო-

ლის გუნდი „მთაწმინდა“ (სკოლის დირექტორი - ირმა ხუციშვილი, გუნდის ხელმძღვანელი - ნინო ალექსიძე) და უმცროს სასკოლო ასაკში გამარჯვებული - 51-ე საჯარო სკოლის გუნდი (დირექტორი - დავით ლაგვილაძე).

47-ე საჯარო სკოლის გუნდის წევრებმა: ნინო ბერიშვილი (კაპიტანი), ელენე ლვინიაშვილი, სოფო

ეპიტაშვილი, ნინო კელენჯერიძე, თეკლა ვარდოსანიძე, კონსტანტინე ქარდავაძე და სანდრო ტაბიძე გამონახეს უდიდესი მადლიერება თამაშის ორგანიზატორების მიმართ. გუნდის „მთაწმინდა“ კაპიტანს საჩუქრად სასულიერო ლიტერატურა გადაეცა.

ნინო საყვარელიძე



## საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა

ბედნიერია ქვეყანა, რომელიც ღვთისმშობელს ერგო. ბედნიერია ერი, რომლის პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გახლავთ. სწორედ ეს გასდევდა ლიტურგიკად გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებას.

დღეს მართლმადიდებელი მრევლი ემარხულობთ, მხურვალედ ვლოცულობთ უფლის სადიდებლად და ვემზადებით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შესახვედრად და სწორედ ამ დღეებში გამიჩნდა დიდი სურვილი, მომეძიებინა დოკუმენტური მასალა მსოფლიოში არსებული ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი მთაწმინდის ხატების შესახებ. აგრეთვე საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ცხოვრების ამსახველი დოკუმენტური მასალა - განაცხადა სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა მარინა უტიანაშვილმა და თავისი სურვილიც გაგვანდო, - ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღვადგინოთ და ჩვენს შვილებს ერთიანი ძლიერი საქართველო დაუტოვოთ.

18 მარტს სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლის საექტო დარბაზში, ჩატარდა ფილმების ჩვენება, რომელსაც ესწრებოდნენ ჩვენი სკოლის მოსწავლეები, მათი მშობლები და პედაგოგები.



დღევანდელი ღონისძიებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ეკლესიაში დავდიოდი, მაგრამ ამის შემდეგ უფრო ხშირად ვივლი და ვილოცებ საქართველოსთვის“ - გვითხრა მე-7 კლასის მოსწავლე სოფიკო ომანაშვილმა.

საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის ხელმძღვანელმა ნანა კობალიანმა, რომელიც ამავდროულად საქართველოს ისტორიისა და რელიგიის ისტორიის მასწავლებელია, აღნიშნა, რომ „ეს ღონისძიება დროული და აუცილებელი იყო ბავ-

შვებისთვის, რადგან ჩვენი რწმენა და უფალთან დაახლოება გავიკვლევს ცხოვრების რთულ გზას და ააცილებს ახალგაზრდებს დანაშაულის ჩადენას. რამდენად მორწმუნე იქნება ბავშვი, იმდენად სუფთა ორგანიზმი ექნება და ადვილად ძლევს ბოროტებას, არ მოექცევა სხვისი ვაგლენის ქვეშ, რაც აშკარად ხდება დღეს. უფალი ფარავდეს ახალგაზრდობას XXI საუკუნის ურთულეს გზაზე მშვიდობიანი ცხოვრების დასამკვიდრებლად. მადლობა სკოლის დირექტორს,

ქალბატონ მარინა უტიანაშვილს ასეთი ღონისძიების განხორციელებისთვის“.

ისტორიის მასწავლებელმა, რომელიც რელიგიის ისტორიისა და ახალგაზრდობის განხორციელებასთან დაკავშირებით მუშაობს, აღნიშნა, რომ ასეთი ღონისძიება ხშირად უნდა ჩატარდეს, რადგან დღეს საქართველოს გადარჩენა ჩვენი რწმენის სიმტკიცეზეა დამოკიდებული. საინტერესო იყო პატრიარქის შესახებ ინფორმაცია - ერთად თავმოყრილი მისი შემოქმედებითი ცხოვრება და დიდი სიკეთეები სასიამოვნო

ნო მოსასმენი იყო.

ღონისძიების ორგანიზატორები, ჩვენი სკოლის პედაგოგები - დიმიტრი პოპოვი და თამარ ბეროშვილი აღნიშნავენ, რომ სხვადასხვა წყაროებიდან იქნა მოძიებული და ნაჩვენები პატრიარქის ბიოგრაფიული მონაცემები, მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა, პირადი ჩანაწერები მუსიკის, ბუნების სიყვარული შესახებ. წარმოჩენილი იყო მისი დიდი ზრუნვა და ძალისხმევა სასულიერო ლიტერატურის გამრავალფეროვნებასა და ეკლესია-მონასტრებში ლოცვა-კურთხევის აღდგენაზე. უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის პატრიარქობის დროს რიცხოვნად გაიზარდა როგორც მღვდელმთავართა და სასულიერო პირთა რიცხვი, ასევე - მრევლის. მან ხელი მოაწერა სიკვდილით დასჯის გაუქმებას, საპატიმროებში ეკლესიები აშენდა. დიდი სიკეთე გახლავთ ყოველ ოჯახში დაბადებული მესამე შვილის ნათლობა ერის გამრავლების მიზნით.

მოხარული და კმაყოფილი ვარ დღევანდელი დღით. რწმენის სიმტკიცე აუცილებლად გადაარჩენს ჩვენს ერს და სამშობლოს ყოველგვარი ბოროტი ძალისგან“ - ამბობს მშობელი მაია ყიზილაშვილი.

თამარ ბეროშვილი  
სკოლის პედაგოგი





# ჩვენ პირვეთ სოსოსხლეს



„იცით, ჩემ დროს რა კარგი იყო?“ – ასე იწყებს მამაჩემი ბავშვობის ტკბილ მოგონებებს, რომელიც უკავშირდება მე-10 საშუალო სკოლას და მის სპორტულ კომპლექსს, იმ თაობის მოსწავლეთა გართობის საუკეთესო ადგილს.

წვიმიან ამინდში, როდესაც ვხედავ დანგრეული დარბაზის გვერდზე მოთამაშე ბავშვებს, თვითონაც ვერ ვხვდები რა გრძნობა მეუფლებოდა, სევდა თუ ბრაზი.

ჩვენ დავგრჩა სანაგვედ ქცეული ნანგრევები, რომლის დასუფთავებაც თავად ვცდილობთ. ვანყდებით ისეთ ფაქტს, რომელიც ადამიანში ტკივილს იწვევს. კუთხეში მიყრილი შპრიცები საგვს აქაურობა.

მასხენდება საღამო, ვარჯიშიდან სახლში მიმავალმა თვალი მოვკარი დარბაზის სიღრმეში საეჭვოდ მოძრავ ლანდებს. მაშინ გავიფიქრე, რომ მათი მიზნები ისეთივე ბნელი და ბინძური იყო, როგორც დანგრეული დარბაზის სიღრმე. ჩემდაუნებურად შემეცოდა ისინი და გული მეტკინა იმის გაფიქრებით, რომ მათ შორის შესაძლოა ჩემი თანატოლებიც ყოფილიყვნენ.

ამ ამბის შემდეგ მეგობრებს გავვინჩნა სურვილი, ჩავლრმავებო-

დით ამ პრობლემას, შეგვესწავლა ეს სენი და ჩვენი ძალებით დავხმარებოდით თანატოლებს, დაენახათ სინათლე ბნელ გვირაბში. ჯგუფში შევეგროვდით ხუთი მეთერთმეტეკლასელი: **გიორგი, ანა, დათო, მიშიკო და ლაშა**. დახმარებისთვის მივმართეთ სკოლის დირექტორს – **ბელა ხუბუტიას**, ფსიქოლოგს – **თამუნა იორამაშვილს** და მენეჯერს – **ნინო ახალკაცს**. ისინი აქტიურად ჩაერთვნენ ჩვენი პროექტის განხორციელებაში და...

იმისთვის, რომ გავვერკვია, რა იყო ნარკომანია, რა გავლენას ახდენდა იგი ადამიანის ფსიქიკაზე და ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე, მივმართეთ ნარკოლოგიის ინსტიტუტს, კერძოდ ექიმ ნარკოლოგს და ფსიქოლოგს. მათ აგვისსენს, რა დაავადებებს იწვევს ეს თუ ის ნარკოტიკი, რამდენად მძიმეა ადამიანისთვის (რომელმაც ყველაფერი პიროვნული დაკარგა) ამ მავნე ჩვევაზე უარის თქმა.

ექიმი ნარკოლოგი **თათა ასათიანი**: განსაკუთრებით საშიშია ამჟამად გავრცელებული ნარკოტიკები, რადგან ისინი ტოქსიკურია და თავის ტვინში იღებება. იწვევს ადამიანის ინვალიდულ ქცევას, რადგან მოქმედებს ნერვულ სისტემაზე

რომელიც მეტყველებას და სიარულს განაგებს. რეაბილიტაციის პროცესში ნამყვანია ფსიქო-თერაპია და მედიკამენტოზური მკურნალობა. მაქსიმალურად ვცდილობთ, თავიდან ავიცილოთ რეციდივი, ანუ ისევ ნარკოტიკებთან დაბრუნება, რაც არცთუ იხე იშვიათია“.

სახელმწიფო პროგრამები ავინანსებს მხოლოდ განკურნების მსურველთა მცირე ნაწილს, დანარჩენს კი საკმაოდ ძვირი უჯდება საკუთარი თავის გადარჩენა. ამიტომ ხშირად კვლავ უბრუნდებიან ცხოვრების ძველებურ გზას. ამ ძიებაში აღმოვაჩინეთ, რომ არის ალტერნატივა – გადარჩენის სულიერი გზა, რომელსაც მართლმადიდებლურ ეკლესიასთან მივყავართ. ჩვენც გავყვეით ამ გზას და აღმოვჩნდით მარტყოფის ღვთაების მონასტერში. პირველი შეგრძნება, რომელიც ეკლესიის ეზოში შესვლისას დავვეუფლა, იყო სიმშვიდე. ჰაერი, რომელსაც ვსუნთქავდით, იმდენად სუფთა იყო, რომ გვეგონა მინაზე არ დავდიოდით, სხვა სამყაროში აღმოვჩნდით. ეკლესიის წინამძღვარმა, **მამა ბენიამინმა** ყურადღებით მოისმინა იქ მისვლის მიზეზი. უპრობლემოდ დავგვანხმდა მო-

ნასტერში ორი დღით დარჩენაზე. იქ ყოფნისას დავინახეთ რწმენა, რომელიც ეხმარება ადამიანს საკუთარ თავში ჰპოვოს ძალა ამ სენის დასაძლევად.

ღვთაების მონასტრის წინამძღვარი, **მამა ბენიამინი**: ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა მონასტერში მოვიდა, ნიშნავს, რომ გამოსწორების სურვილი აქვს. ყოფილა შემთხვევები, როცა კელიაში დარჩენილს ოფლი სდიოდა ტკივილისგან, მაგრამ გადაუტანია ღვთის მადლით. ეგოიზმი ლოთობის, ნარკომანობის საწყისია. ამ დროს ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავზე და სიამოვნებაზე ფიქრობს. ის, ვინც ეკლესიურ ცხოვრებას ენევა, ნივრებზე დადის, ლოცულობს, ამ გზას არასოდეს დაადგება“.

მონასტერში მყოფი ახალგაზრდა: „ბევრ ჩემ თანატოლს სასაცილოდ არ ყოფნის ნარკოტიკების გადაგდებაზე ფიქრი. მათ ავიწყდებათ, რომ არსებობს ოჯახი, სიყვარული, სიცოცხლე. ყველაფერი იმით იწყება, რომ ამბობენ, ადამიანმა ერთხელ მაინც ყველაფერი უნდა გასინჯოს, მაგრამ ვერ არ არის – „როგორც ყველაფერი არ ითქმევა, ისე ყველაფერი არ იქმე-

ვა“. საღვთო გზა ყველაზე სწორი გზაა. მონასტრის სიმყუდროვე განსაცდელს აგარიდებთ. ცოდვას თავისი საზღაური აქვს, რომელსაც გადახდა უნდა“.

პროექტზე მუშაობის დროს უამრავი ფოტო და ვიდეომასალა მოვაგროვეთ. მისი გამოყენებით მომზადდა დოკუმენტური ფილმი, რომლის ჩვენებას ვგეგმავთ ჩვენი სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეებთან. ჩვენების შემდეგ ვაპირებთ დისკუსიის გამართვას, რათა მოზარდებმა სწორი არჩევანი გააკეთონ.

**გიორგი გუდაგათიაშვილი, ანა გიგილაშვილი, დათო შუბითიძე, მიშიკო მაჯიშვილი, ლაშა შვანგირაძე**  
№10 საჯარო სკოლის X<sup>ლ</sup> კლასის მოსწავლეები

**P.S.** ჩვენ ვირჩევთ სიცოცხლეს, ვცხოვრობთ მომავლის იმედით და გვეჯერა, რომ უახლოეს მომავალში მე-10 სკოლის მოსწავლეებს ექნებათ საშუალება, ჯანსაღი ცხოვრების წესით საკუთარი სკოლის დარბაზში დაკავდნენ.

## საფეხბურთო ტურნირი გურჯაანში

13-18 მარტს, გურჯაანში, ჩატარდა საფეხბურთო ტურნირი გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის. სხვა სკოლებთან ერთად შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლის საფეხბურთო გუნდმა: **გიორგი ხმალაძე, ილია ნადაშვილი, ლევანი ქაჩლიშვილი, ნიკა ბაკურაძე, ლევან მულალაშვილი, გიგა ნინიკელაშვილი, გიორგი დარჩაშვილი, დათო მურაკაშვილი, პაატა ლვინაშვილი, შალვა მეშველიშვილი**.

ტურნირი სამ ეტაპად ჩატარდა. 13 მარტს – სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლა შეხვდა ვეჯინის საჯარო სკოლას, შეხვედრა სოფელ გურჯაანის საჯარო სკო-

ლის გამარჯვებით დამთავრდა (5:3). 14 მარტს – სოფელ ჩუმლაყის საჯარო სკოლის გუნდთან ჩვენმა სკოლამ 10:0 მოიგო. 15 მარტს – გურჯაანის მეორე საჯარო სკოლასთან 6:2 მოიგო სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლის გუნდმა. 16 მარტს – ბაკურციხის საჯარო სკოლას 5:2 მოიგო სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლა. 18 მარტს – საფინალო შეხვედრაზე სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლა შეხვდა გურჯაანის მეორე საჯარო სკოლას. ეს შეხვედრა ჩვენი სკოლის ფეხბურთის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა, ანგარიშით 6:2.

ამავე დღეს გაიმართა გამარჯვებული გუნდის დაჯილდოება. სოფელ გურჯაანის გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა და დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრით. ასევე, ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ ნორჩი ფეხბურთელები, ნომინაციებში: **საუკეთესო მეკარე** – ლევან ქაჩლიშვილი; **საუკეთესო ბომბარდირი** – გიორგი ხმალაძე; **საუკეთესო თავდამსხმელი** – ილია ნადაშვილი. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ამ ტურნირის ინიციატორს – საფეხბურთო კლუბს „გურჯაანი 2006“. მივესალმები მოსწავლეთა სპორტულ შეს-

ვედრებს, განაცხადა ჩვენი სკოლის ადმინისტრატორმა **ავთანდილ მანოშვილმა**, რომელიც აქტიურად გულშემმატკივრობდა სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლის ფეხბურთის გუნდს. ნორჩ ფეხბურთელებს პირველობა სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **მარინა უტი-აშვილმა** მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა.

**ანა რუაძე**  
გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლის სპორტისა და ესთეტიკის კათედრის ხელმძღვანელი





# მარსხი თუ დაუმთავრებელი ომი?..

ვაჟას უთქვამს: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრინი“, მართლაც კარგი და ლამაზია ჩვენი სამშობლო, თავისი ბუნებით, ტყით, მდინარეებით, ცივი წყაროებითა და ზღვებით, თავისი მიხვეულ-მოხვეული ქედებითა და ხეობებით, დათოვლილი მწვერვალებით. აქ სულ სხვა მზე ანათებს. ამიტომაც, რომ უამრავი მტერი ჰყავს ამ პატარა ქვეყანას. ყველა სძიძგინდა და ჰკორტინდა, აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან თუ სამხრეთიდან, მაგრამ საქართველო მაინც გადარჩა. ის ხომ ღვთისმშობლის ნიღბვედრია, ის ხომ ვაჟას არწივისებურია – იმედანი და ბრძოლისუნარიანი, აკაკის ჩონგურისებურია – მუდამ შეხმატკბილებული და ერთ მუშტად შეკრული, ილიას საქართველო – თერგსავით მოუსვენარი, შეუპოვარი და დაუმონავი. ჰკორტინეს და სძიძგინეს გარეშე თუ შიდა მტრებმა. „ჭეშმარიტად: არავის ისე არ ემარჯვება ქართველი კაცის დამარცხება, როგორც ქართველ კაცს“, თუ ოდესმე დამარცხებულა ჩვენი ქვეყანა, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ლაღატი ყოფილა, მაგრამ ის მაინც გადარჩა და უკვდავია, როგორც მთის დაუმრეტელი წყარო, როგორც ბებერი მუხის ფესვებზე ამოზრდილი ყლორტი.

„ძლიერ მტერს შეუძლია შეუღახოს ერს თავმოყვარეობა, ნაართვას მას მინა-წყალი და უფლებანი, მაგრამ არ შეუძლია მოსპობს ამ ერის გულისტკივილი და სურვილი იმისა, რომ დაიბრუნოს დაკარგული“.

მართლაც რუსეთის იმპერიამ არაერთხელ ნაგვართვა მინა-წყალი, შეგვიღახა თავმოყვარეობა, მაგრამ ვერ მოახერხა ქართული ეროვნული სულის განადგურება და ვერ ჩაკლა ყინი დამოუკიდებლობისაკენ სწარფვისა. იყო დრო და რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, მოგვიანებით დაიპყრო იმერეთი და მთლიანი საქართველო, რითაც სერიოზული საფრთხე შეექმნა ქართველ ერს. გავიდა დრო და დადგა ძნელბედობის ხანა ქართველი ერის ისტორიაში – საბჭოთა რუსეთის ოკუპაციისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაპყრობისა და საოკუპაციო რეჟიმის დამყარებისა.

მოგვიანებით, სულ ახლო ხანში, 1989 წლის 9 აპრილს, რუსეთიდან ჩამოყვანილმა სპეცდანიშნულების რაზმმა ვერაგულად დაარბია მომიტინგეები, ეს იყო ომი სეპარატისტებთან და რუსეთის იმპერიასთან, დაბოლოს, გასული წლის აგვისტოს თვეში რუსეთის იმპერიამ კვლავ გამოაჩინა თავისი სისხლიანი ბრწყალეობა და ე.წ. „თავისი მოქალაქეების“ დასაცავად „გვესტუმრა“, ცეცხლში გაახვია საქართველოს ტერიტორიები: სამაჩაბლო თუ აფხაზეთი, სამეგრელო თუ შიდა ქართლი. არ დაინდო არც ბავშვი და არც მოხუცი, არ დაინდო „თავისი მოქალაქეებიც“. მინასთან გაასწორა საცხოვრებელი სახლები, გაძარცვა და მიითვისა ყველა წვრილმანი. თვითმფრინავებისა და ტანკების შემზარავი ზემოქმედებით შარს სცემდა უმწიკრ დედაცხებას და ბავშვებს, გაიხარა ქართული სისხლის ხილვით, გაანადგურა ხალხის ნაოფლარი, მაგრამ ვერ გაანადგურა ქართული ეროვნული სული, ვერ მოსპოვებოდა ქართული ეროვნული იმისა, რომ დაიბრუნოს დაკარგული“.

ქართველი ერი არასდროს შეგუებია დამპყრობლის ბატონობას. ის იბრძოდა და კვლავ განაგრძობს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისათვის, ისე როგორც იბრძოდა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, ქართველებისა და საქართველოს გადასარჩენად. საქართველოს პოლიტიკური ელიტა კვლავ განაგრძობს სამართლიან ბრძოლას ქვეყნის გამთლიანებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, ისე როგორც იბრძოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა ფშაველა და სხვა მათი თანამოაზრეები. მათ შემოქმედებაში გამომხატულია საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით აღძრული სევდა, მათი შეუთავსებლობა სინამდვილესთან. მათ შემოქმედებაში მთავარია ეროვნული მოტივი, ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ოპტიმიზმი მომავლისა და გამარჯვების წინაშე. ქართველი ერი რომ არ შეგუებია მონობას, ამის ნათელი მაგალითია რუსული რეჟიმის წინააღმდეგ ეროვნული მოძრაობები: გამოსვლა კახეთში, აჯანყება მთიანეთში, აჯანყება იმერეთსა და გურიაში, ეროვნული მოძრაობის აღმავლობა საბჭოთა რევოლუციის წლებში, ეროვნული მოძრაობები XX საუკუნის ბოლოს და სხვ. ქართველი ერი სიძლიერე ასევე გამოიხატება იმაში, რომ დიდი ხნის მანძილზე საქართველოდან მოკვეთილი ისტორიული ტერიტორიები კვლავ დედასამშობლოს დაუბრუნდა, ჯერ – სამცხე-ჯავახეთი, ხოლო მოგვიანებით – აჭარა. აღსანიშნავია ის, რომ XX საუკუნეში ორჯერ მოხდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ქართველი ერი ძლიერია იმით, რომ ძლიერია და შეუპოვარია ქართველი დედა. ომი დაიწყო, – შემფოთდა ქართველი ჯარისკაცის დედა, მაგრამ იღუმალმა ძალამ მას მხნეობა შემატა და გაახსენა ილიას სიტყვები: „ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო შვილი, სიცოცხლე მივეც, რომ, შეეძლოს შენთვის სიკვდილი“. როცა გაიგო თავისი ერთადერთი პირმშოს დაღუპვის ამბავი, მუხლი მოეკვეთა, ხელები აღაპყრო ზეცისკენ და მთელ ქვეყნიერებას კრულვას უპირებდა, მაგრამ კვლავ იღუმალმა ძალამ ჩასძახა წმინდა ილიას სიტყვები:

„ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო შვილი, სიცოცხლე მივეც, რომ, შეეძლოს შენთვის სიკვდილი“.

როცა გაიგო თავისი ერთადერთი პირმშოს დაღუპვის ამბავი, მუხლი მოეკვეთა, ხელები აღაპყრო ზეცისკენ და მთელ ქვეყნიერებას კრულვას უპირებდა, მაგრამ კვლავ იღუმალმა ძალამ ჩასძახა წმინდა ილიას სიტყვები:

„წმინდა ივი, ვისაც ელირსა მამულისათვის თავის დადება!..“

ქართველი დედა აღარ მიეცა სასწარმკეთილებას შვილის დაღუპვის გამო, ყველაზე მალე დააყენა პატრიოტული გრძობა და, როგორც სანიშნუი „ქართლის დედა“, შავებში ჩაცმული, ხელაპყრობილი, ღმერთს ვედრებოდა:

„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!..“

აგვისტოს ომმა მრავალ დედასა და მეუღლეს ჩააცვა შავები. იყო გლოვა საქართველოს ყველა კუთხეში. გამოწაკლისი არც ჩემი სოფელი ყოფილა. მერაბ ჭელიძის დაღუპვის ამბავი მეხივით გავარდა ჩვენს კუთხეში: მერაბ ჭელიძე დაიღუპაო, ქვითინებდნენ თვალცრემლიანი მანდილოსნები; თამაზ ჭელიძის ბიჭი კარგი ვაჟკაცი იყო, მწუხარებას გამოთქვამდნენ მამაკაცები. მთელი სოფელი შავებით შეიმოსა. მწუხარებას იზიარებდა ყველა. ვინ არ მოვიდა სოფელ გუმბათში სამძიმარზე: მეზობელი სოფლებიდან თუ რაიონებიდან, რაიონისა თუ რეგიონის ხელმძღვანელობა. ანუგეშებდნენ გაოგნებულ მშობლებს. ნუგეში ნუგეშია, მაგრამ მერაბ ჭელიძის დედისთვის განსაკუთრებით საწუგეშებელი ის იყო, ყველაზე მეტად ის უნელებდა განუკურნებელი იარის ტკივილს მგლოვიარე დედას, რომ მისმა შვილმა პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე, ასახელა დედა, ასახელა საქართველო.

დააფასა ხელისუფლებამ მისი სამშობლოსათვის თავგანწირვა და დააჯილდოვა ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით. სოფელ გუმბათში შენდება მისი სახელობის სპორტული მოედანი. მერაბ ჭელიძემ, სრულიად ახალგაზრდამ, ოცდაცამეტი წლის ასაკში, ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას შესწირა ყველაზე ძვირფასი რამ, რასაც სიცოცხლე ჰქვია, მაგრამ მისი სახელი ხალხში აღარ მოკვდება.

ვერც კი შევნიშნე, როგორ მიიღო თემამ ისტორიული ხასიათი, მაგრამ აღნიშნული სარწმუნო წყაროები გვაძლევს პასუხს კითხვაზე: „მარცხი თუ დაუმთავრებელი ომი?“ – პასუხი ერთია, საქართველო არასდროს დამარცხებულა, ქართველი ერი კვლავ იბრძობს ტერიტორიული მთლიანობისთვის, დაკარგულის დასაბრუნებლად და ჩამონათვალში ყოველთვის თავისი ადგილი ექნება დამკვიდრებული მსოფლიოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა.

## რამაზ ირემბაძე

ნალკის მუნიციპალიტეტის გუმბათის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე, კონსულტანტი მასწავლებელი რამაზ ძირმბაძე

# „გამზრდელის“ დასასრული

**ნანა ნანუაშვილი** კაკაბეთის საჯარო სკოლის მეთაველასელია. მისი თქმით, იყო პერიოდი, როცა ლექსებს წერდა, თუმცა, ბოლო დროს, თავი დაანება. როცა აკაკის პოემა „გამზრდელი“ წაიკითხა, გაუჩნდა სურვილი ეს ამბავი სხვანაირად დამთავრებულიყო. ამ მოკრძალებული ჩანაფიქრის განხორციელება გაკვეთილში მოცემულმა დავალებამაც გადაწყვეტინა. მას უნდა დაეწერა მცირე ესე თემაზე: „როგორი შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, ბათუს და, მეორე მხრივ, საფარ-ბეგის შემდგომი ცხოვრება.“

## თამარ სუხიაშვილი

ნანა ნანუაშვილი: თავიდან ჩემიველი ვერსია საფარ-ბეგის თვითმკვლელობით დავასრულე, მაგრამ შინაარსობრივად ძალიან პატარა მომეჩვენა. გაგრძელება დილით, სკოლაში წასვლამდე მოვიფიქრე და ფურცელზე გადავიტანე. მისი დანერა არ გამჭირვებია, ალბათ იმიტომ, რომ ძალიან მოვიწონებ. ჩემიველი დასასრული სიუჟეტურად საკმაოდ განსხვავდებოდა თანაკლასელთა ნამუშევრებისაგან. უმრავლესობამ საფარ-ბეგი მერად აღკვეცა, მე კი, ისეთივე განაჩენი გამოვეუტანე, როგორც აღმზრდელმა საკუთარ თავს. მოკალებით გთავაზობთ ამ სტრიქონებს:

საფარ-ბეგი გამჭირვებით, უყურებდა მას მომაკვდავს, ვერ ხვდებოდა მოძღვრის წადილს, უცნაურს და გულმოსაკლავს. ფიქრი ჰქონდა ზღვად და ქარად, მაგრამ ის კი ვერ გაეგო, გამზრდელს, ცული გაზრდილისთვის, ღმერთთან ცოდვა რად დაედო. ისე ძვერდა მისი გული, აუტეხა კედლებს წერევა, თითქოს წამით შეჩერდა დრო, თითქოს წამით გაქრა ყველა. და ის წამიც გაწყდა უცებ, საფარ-ბეგი გონს მოეგო, თავის გამზრდელს, სისხლში მცურავს, გულზე წამლად გადაედო. გონზე-მოსულ ჰაჯი-უსუბ თავს მალა სწევს, ეუბნება: ბოლო თხოვნა შემისრულე, სანამ სული გამეცლება. დარცხენილი, შეშლილ სახით, საფარ-ბეგი პასუხს აძლევს: გისმენ, მითხარ, რაც გენებოს, რაც შენს დალილ გულსა სწადდეს. ჰაჯი-უსუბ ხმის კანკალით, თავის გაზრდილს რჩევას აძლევს, ეუბნება: თუ შენც ჩემებრ, სოფლად აღარ გაგიმართლდეს, იმ გზას მოჰყევ, სადაც ახლა

მე ვუღიმი სიკვდილს ეშმაკს, რადგან ცოდვეს ჩვენს ჩადენილს, მხოლოდ ასე თუ ეზღავთ ღმერთთან. ოღონდ ცოტა დაიცადე, კიდევ სცადე ბედი სოფლად. და თუ საქმე მუხთლად წახდეს, ველარ გასძლოს გულმა ცოდვად, შემოახტის სიკვდილის ცხენს, გეზი ჩემსკენ გქონდეს მუდამ, და იფიქრე იმ ცოდვაზე, თუ რისთვისაც ასე ღირდა. ექნებ ახალ ცხოვრებაში, გაგვიღიმოს ჩვენ ორს ბედმა, იმ ქვეყანას მასახელო, ჩემგან კაცად გამოზრდილმა. ბოლოს ეს თქვა: გაეცალე, კარ-მიდამოს ჩემსას ჩქარა, და თვალეში რაღაც შავი, მას სიკვდილი შეეპარა

\* \* \*

საფარ-ბეგის უნებურად, მის თვალეში ცრემლი დუღდა, და უეცარ გაბრძოლებით, გულმა ის თქვა, რაცა სურდა: მეცოდები, ვაი როგორ, უფუნურო ჩემო თავო, ეს რა ვქენი ახლა ვხვდები, ღმერთი როგორ გამინყრაო.

რით იცოცხლო, რამ გაცოცხლოს, შენ გამზრდელის მკვლელო თავო, დღეს განკითხვის დღეა შენი, დღეს შენთვისაც განვიმდაო. თან დასტირის გამზრდელის გვამს: შენ მეორეე მამაც ჩემო, ცხელი წყალი გადაამახსი, სოფელს რალა დავიჩემო. რალად მინდა წუთისოფელს ვიცხოვრო და ვგანჯო სხვები, განა ცოდვა ნაკლები მაქვს? მე შენდობას ვისგან ველი. ვერ ვასრულებ თხოვნას შენსას, ვერც ღვთის ნებას ვემართლები, მაგრამ, რა ვქნა, სულეერად ავადმყოფი ვერ დავრჩები. ჰაჯი-უსუბ, ჩემი ცოდვით ვახვრეტილი რომ გაქვს შუბლი, მინდა ტყვია დაგესხოსო, მოგვკლა გული დატანჯული. ესა თქვა და მან სასროლად შეაყენა ცხელი ტყვია, ცრემლით მორწყულ მის სახეზე, მწუხარება გაილია. და ესროლა გულს დაღალულს, გიჟურ ფეთქვით განყდა წამი, მივსვენა გამზრდელის მხარს, გამოზრდილი მომაკვდავი.

\* \* \*

დადგა დილა, შავი დილა, დილა გლოვის და გოდების, ჰაჯი-უსუბ საფლავს მიჰყავთ, სიტყვა ისმის შეცოდების. საფარ ბეგი საღვალე ველზე, უპატრონოდ დაუგდაიათ, ვინ დასტირის? ვინ წუხს მისთვის? არის არად ჩაუგდაია. ამ ამბავმა საზარელმა, მიაღწია ბათუს ყურად, შემფოთებით, გაოგნებით, შეჯდა ცხენზე და კაცურად, ცოლი იხმო , უთხრა: მე დღეს სოფლის ველზე ნავალ ჩემო, რომ ჩვენს კერას ის სანყალი,

ძიძიშვილი მოვასვენო. არა, გული არ მისვენებს შენსა და ჩემს გასაყრელად, მაგრამ რა ვქნა, რად დავტოვო ყვაე-ყორნების შესაჭმელად. ვიცი, ახლა რასაც მეტყვი, არ გენდომის ალბად ნახო, ჩვენი გულის დამკანწრელი, ჩვენს კერაზე რომ დავმარხო. მაგრამ ცოლი უეუბნება: მე შენს ნადილს არა ვძრახავ, როცა საფარ ბეგს იპოვი, შენთან ერთად მეც დავმარხავ.

\* \* \*

გაეშურა ბათუ სოფლად, კითხულობდა ადგილს მისსას, ძლიერ-ძლიოობით მეორე დღეს, მიაშურა ველს საზიზღარს. ყვაე-ყორნებით დაფარული, მისი გვამი ნადავლს გავდა, ბათუს გულში დანახულით, ცხელი ქარი ამოვარდა. დატირდა ძიძიშვილი, თავის ნაბადს გაახვია, მერე ცხენის დახმარებით, მთაში, სახლისკენ გასწია. მიიყვანა, დაასვენა, როგორც იყო წესი, რიგი, მერე მინას მიაბარეს, ყორნებისგან დაგლევილი.

\* \* \*

აგერ უკვე წლები გადის, ისევ მთაში ცხოვრობს წყვილი, ბედნიერი სიყვარულით, ერთმანეთით კმაყოფილი. მათ ეზოში, როგორც დალი, მარმარილოს ქვა აგდია და ზედ მართლად მინანური უბედობის საბაბია: აქ მარხია საფარ ბეგი, თვით მოკლული ცხელი ტყვიით, უგუნური, მაგრამ მაინც, დატანჯული სინანულით.







# ფართა თერაპია

## სტრესის შედეგად, თავის ტკივილს, უძილობასა თუ უსასიანოებას თურმე ფართა თერაპიაც შველის

### თავის ტკივილი

#### წითელი

როცა აბები ვეღარ გეხმარებათ ან თან არა გაქვთ, თვალზე ცივ წყალში დასველებული პირსახოცი დაიფინეთ, ცოტა ხნით წამოწეეთ და ყველაფერი დედამინის ზურგზე დაიფინეთ.

წითელი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და ადრენალინის გამოყოფას აძლიერებს, რისი წყალბოთაც სპაზმი, რომელიც თავის ტკივილს იწვევს, რამდენიმე ხნის შემდეგ ქრება. სპეციალისტები თვლიან, რომ წითელი ბლოკონტიცი კი ოპტიმისტურად განაწყოებს ადამიანს, რაღა უნდა ვთქვათ წითელი ვარდების თაიგულზე.

### სამსახურპარკი სტრესი

#### ცისფერი

თუ საქმე აღარ გახარებათ, რამე ცისფერს შეხედეთ. ცისფერი წნევას ადაბლებს და რეალობასთან გვარიგებს. თუ სიმშვიდის შენარჩუნება გსურთ, როცა ირგვლივ ყველა წუნუნებს და ბუზუნებს, სამუშაო მაგიდაზე ლაჟვარდისფერი ნახატი დადეთ, ცისფერშუშებიანი სათვალე გაიკეთეთ ან მონიტორი მოანსრიგეთ. გამორიცხული არ არის, რომ ცისფერმა კომპიუტერულმა სივრცეებმა კარიერასთან დაკავშირებით რამე საინტერესო შთაგავონონ.

### უძილობა

#### პარდისფერი

თუ იმით იტანჯებით, რომ მოდუნება არ შეგიძლიათ, საძინებლის ფერი შეცვალეთ, კედლები ფლამინგოს ან ატმისფრად შეღებეთ. თუმცა უფრო იაფი და მარტივი გზაც არსებობს - შეიძინეთ იმავე ფერის ლამის სამოსი ან საწოლის თეთრეული. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ვარდის-



ფერი აგრესიას აცხრობს, სიმყუდროვისა და სიმშვიდის შეგრძნებას ბადებს: ტყუილად კი არ უნოდებენ კარგ ცხოვრებას ვარდისფერ ცხოვრებას.

### უსასიანოება

#### ნარინჯისფერი

როცა მოწყენილი ხართ, რამე ნარინჯისფერი ჩაიცვით ან 1 კგ. მანდარინი იყიდეთ. ნარინჯისფერს დიდი ძალა ჰქონ-

ნია: სასიცოცხლო ძალების მობილიზება და დეპრესიიდან გამოყვანა, ლიმფური სისტემის მუშაობის სტიმულაცია, ჰორმონალური ფონის მონესრიგება და ორგანიზმის განმეხმარებელი შეუძლია. შესაძლოა, ძალიან რთული საქმის გაკეთებაც გაიძულოთ.

### გაუზავლობა

#### მწვანე

სიცოცხლისა და გაზაფხულის ფერი აძლიერებს იმუნიტეტს და ნეგატიურ ემოციებს ანელებს. თუ ყოყმანობთ და არ შეგიძლიათ ვადანყვეტილების მიღება, რამე მწვანე ჩაიცვით ან შტირლიცივით ტყეში გაისეირნეთ, რომ ფოთლების შრი-ალში ყველა „დიახ“ და „არა“ ანონ-დანონოთ. მწვანე ფერი გულის მუშაობაზეც კარგად მოქმედებს.

### სიზიზხე

#### იისფერი

სასარგებლოა ნებისმიერი შინაგანი ანთების დროს, ნერვებს ამშვიდებს, ავადმყოფურ მადას ანეიტრალებს. ამახვილებს მხედველობას და ამძაფრებს გრძობებს. თუ თავს მარტოდ გრძობთ, ირისის ყვავილები წარმოიდგინეთ ერთხანს და აუცილებლად იგრძნობთ თავს უფრო ბედნიერ ადამიანად.

### თავში ძარი ძრის

#### შავი ფერი

მიკ ჯაგერის საყვარელი ფერი, გაიძულეს, იყო სერიოზული და ეფექტური. შავის ჩაცმა სხვებისგან განაპირებს და ავი ენებისგან დაცვის კარგ საშუალებაა მიჩნეული. როგორც შავი ბრილიანტი, ისე სუფთა შავი ფერი შიგნიდან ანათებს, ზოგავს შინაგან ძალას და ყურადღებას თქვენი პიროვნებისკენ მიმართავს.

## საორბი

### კალაშნიკოვა

#### 34 ადგილით დაინახურდა

18 წლის ნიჭიერი ქართველი ჩოგბურთელი **ოქსანა კალაშნიკოვა** მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში პირველ ნომრად გახლდათ განთესილი. მასპინძელ **პოლინა როდონოვა**ს პირველი სეტი 7:5 მოუგო კიდევ, მაგრამ მერე ზედიზედ ორი წააგო - 4:6, 3:6.

ამის მიუხედავად, ბოლო კვირები კალაშნიკოვასთვის მაინც წარმატებულია, რადგან მსოფლიო რეიტინგში ერთბაშად 34 ადგილით დაინახურდა და ახლა 351-ზე გადაინაცვალა. ამაში გიზაში მოპოვებული წარმატებები დაეხმარა, სადაც ერთი ტურნირი მოიგო, მეორეში კი ფინალში გავიდა.

ამავე კვირაში, ესპანურ ლას პალმასში, ასპარეზობდა ქართული ჩოგბურთის კიდევ ერთი ნიჭიერი აღზრდილი, კალაშნიკოვაზე ერთი წლით უმცროსი **ეკატერინე გორგოძე**. ისიც საკვალიფიკაციო ტურნირში გამოდიო-



და და ორი შეხვედრაც მოიგო - გერმანელ **ჯასმინ ვოერს** ორ სეტიში აჯობა, მეექვსე ნომრად განთესილი ბრიტანელ **უებლი-სმიტს** კი 6:3-ს უგებდა, როცა მეტოქემ ტრავმის გამო ასპარეზობა შეწყვიტა. ამის შემდეგ მას, ძირითად ბადეში მოსახვედრად, ერთი შეხვედრის მოგება სჭირდებოდა ბულგარელ **ელიცა კოსტოვასთან**, მაგრამ, სამწუხაროდ, სამ სეტიში დამარცხდა.

რეიტინგები ვახსენეთ და ეკატერინე გორგოძემ მხოლოდ ერთი ადგილით წაინია წინ - მე-600 ახდა. აი, **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** კი ერთბაშად... 173 ადგილით „ისკუპა“ წინ. თუმცა ის ჯერაც ვერ შედის ათასეულში - 1018-ე ადგილზეა, მაგრამ ასეთი სწრაფი პროგრესი მისასალმებელია.

### მედლების ცვანა რიგიდან

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდებმა წარმატებით იჭიდავეს რიგის საერთაშორისო ტურნირში, სადაც 5 ოქრო, 2 ვერცხელი და 3 ბრინჯაო მოიპოვეს. ჩემპიონები ქუთაისელი **ლაშა ლომთაძე** (50), გორელები - **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და **გიორგი მაყიშვილი** (60), ამბროლაურელი **გიორგი გაბისანი** (74) და თბილისელი **ლევან ბერიანიძე** (120) გახდნენ. ვერცხლის მედლებს სტეფან მინდელმა **დავით მარსაგიშვილმა** (84) და თბილისელმა **ელიზბარ ოდიკაძემ** (96) მოიპოვეს, ქუთაისელი **მურთაზ კევსაძე** (60), **გორელი ზაურ აბრამიშვილი** (66) და თბილისელი **გიორგი საკანდელიძე** (120) კი მესამეზე გავიდნენ.

ალსანიშნავია, რომ ჩვენს ნაკრებში 12 მოჭიდავე გამოდიოდა და 10 მედალი ჩინებული შედეგია. ამ შედეგით მათ გუნდურ ჩათვლაშიც გამარჯვებს და არაფერ სხვებს, მეორე-მესამეზე გასულ რუსეთსა და ბელარუსსაც კი ბევრით გაუსწრეს. ჩვენი ნაკრები აქ წინა წლებშიც გამოდიოდა და გუნდურ პირველობას არც ადრე უთმობდა ვინმეს. არადა, ტურნირი მუდამ ძლიერია შემადგენლობით. მაგალითად, წლეულს 14 გუნდი გამოდიოდა.

ახალგაზრდები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან, რომელიც 30 ივნისიდან 5 ივლისამდე თბილისში გაიმართება. საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ ეს მათი პირველი

შეჯიბრება იყო და ძალზე საინტერესოც - მთელ რიგ ნონებში კონკურენცია სწორედ ამ ტურნირებზე უნდა გაირკვეს. რიგაშიც, ოთხ წონაში, იმ ფალანგებმა იჭიდავეს, რომლებიც საქართველოს ჩემპიონატზე ფინალში გავიდნენ და აღსანიშნავია, რომ ოთხივე შემთხვევაში ვერცხლის მედალოსნებმა აჯობეს ქვეყნის წლევიანდელ ჩემპიონებს. ამათგან ორმა - მაყიშვილმა და ბერიანიძემ პირადი შეხვედრები მოუგეს კევსაძეს და საკანდელიძეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ჩემპიონატზე ორივე ფინალი სადაო გახდა. განსაკუთრებით - მაყიშვილი-კევსაძის შეხვედრა, რომელიც აყალ-მყალის გამო, ლამის, ერთი საათით შეწყდა. თუმცა, რიგაში ნაჩვენები შედეგები ჯერ კიდევ არ ნიშნავს ნაკრებში მოხვედრას - ევროპის ჩემპიონატამდე ბიჭები კიდევ რამდენიმე ტურნირში გამოვლენ.

### შენგელია რეალის წინააღმდეგ

ერთი კვირის წინ სიახლოვებით ვწერდით, რომ 17 წლის ქართველმა კალათბურთელმა **თორნიკე შენგელიამ** ესპანური „პამესას“ ძირითად შემადგენლობაში მეორედ ითამაშა ანუ თანდათან ეჩვევა ძირითადსო. გავიდა ერთი კვირა და შენგელია ვალენსიელთა თავცაცმა **ნევენ სპაშიამ** თვით მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგაც სასტარტოში დააყენა! მართალია, ამჯერად წინანდელივით ვერ იყო ჩალა - მოედანზე მხოლოდ 11 წუთი დაჰყო, გუნდს კი - ქულა და ამდენივე მოხსნით შეენია, მაგრამ „რეალთან“ განსაკუთრებულ შედეგებს არც არავინ სთხოვდა. ეს არაა „ბრუნესა“, რომელთანაც შენგელიამ წინა ტურში ასევე სასტარტოში დაინყო და მისთვის სარეკორდოდ ბევრ დროში - 23 წუთში 8 ქულა, 4 მოხსნა და თით-თითო პასი, ჩაჭრა და დაფარება მოაგროვა - „რეალი“ თვით „პამესაზეც“ ბევრად მაღალი დონეა. აკი ვალენსიელებმა, წინა მატჩისგან განსხვავებით, მადრიდელბთან წააგეს 76:80.

დღევანდელი კალათბურთელის - **კახა შენგელიას** ვაჭი (სიმაღლე - 207 სმ.) ვალენსიაში ისე მოხვდა, საქართველოს ეროვნულ პირველობაზე ნათამაშები არც ჰქონდა. მან ბა-



თუმში გამართულ კემპზე გაიმარჯვა და ჯილდოდ „პამესაში“ 5-დღიან სინჯებზე წასვლა მოიგო. ესპანელებსაც მოეწონათ და ზუსტად ნე-ლინად-ნახევრის წინ კონტრაქტიც გაუფორმეს, ოღონდ მაშინ ახალგაზრდულ გუნდში გამოდიოდა. იქიდან ძირითად გუნდში მოხვედრას თორნიკემ არც ისე დიდი დრო მოანდომა, პარალელურად კი ეროვნულ ნაკრებშიც გამოიხატეს. ის უკვე ნაბ-დან ჩამოსული სკაუტების ყურადღების ქვეშაც მოექცა და დიდი შანსია, „პამესასთან“ კონტრაქტის ამონურვამდე, ანუ მომავალი სეზონის დასრულებამდე აშშ-ში და იქაურ უძლიერეს ლიგაშიც ვიხილოთ. „მინე ყველას გასაგონად ვთქვა, არ მოდუნდნენ და ბოლომდე, მთელი გულით ივარჯიშონ. მნიშვნელობა არა აქვს, რა დარბაზში ვარჯიშობთ, როგორ ფარში ესვრით ან რომელი ფირმის მაისური გაცვიათ. თუკი ბოლომდე დაიხარჯებით და მაქსიმუმს გააკეთებთ, შრომა აუცილებლად დაგიფასდებათ“ - თანატოლებისადმი რჩევებს არ იშურებს შენგელია.

ირაკლი თაბაძე

**ახალი განათლება**

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტაბატაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.

E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაციის ხელმოწერისთვის: 76096

გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უპრუნდებათ.

რედაქციის რეკვიზიტები:

საპარტოპოლო ბანკი

ბ/კ 220101502,

ს/კ 202058735,

ა/ა 123631000